ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 7 აგვისტო 2001 №147 (1420) | ფასი 50 თეთრი

# გორდას გაუგორდა

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი

პირველი ეტაპი

## 2 ტური

4 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| გორდა | 1 |
| სამგურალი | 3 |
| გურია | 1 |
| ლოკომოტივი | 3 |
| მეტალურგი | 0 |

5 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| კოლხეთი | 0 |
| მერანი | 3 |
| სიონი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ბათუმი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| გორდა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვიტ ჯორჯია — ბათუმი. ვიტელ ვლადიმერ გოჩაშვილს ბათუმელებმა ბურთი ააცალეს

მეცამეტე ეროვნულის მეორე ტურზე მოკლედ რომ ვთქვათ, სამი ამბავი უნდა გამოვარჩიოთ. ამბავი პირველი: უევროპოდ დარჩენილმა ქუთაისის „ტორპედომ“ წინა ტურში „სამგურალის“ 6:0 დამმარცხებელ ფოთის „კოლხეთს“ შანსი არ დაუტოვა, სამი უპასუხო გოლი გაუტანა და სატურნირო ცხრილს უდანაკარგოდ ლიდერობს. ამბავი მეორე: საქართველოს ნაკრების კაპიტანყოფილმა, ამჟამად კი „ლოკომოტივის“ მოთამაშე-მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თავის მეტად ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერაში ქვეყნის ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა. მისმა შეგირდებმა უმაღლესში ალზევებულ ზესტაფონის „მეტალურგს“ 3:0 მოუგეს. ამბავი მესამე: პირველ ტურში „გორდასგან“ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება სენსაციად მოინათლა, რუსთაველებმა ამ უქმეებზეც აალაპარაკეს ხალხი, როცა შაბათს „ეროვნულზე“ 86-ე წუთზე დაწინაურებულ „დინამოს“ მატჩის ბოლო წუთზე გაუთანაბრეს და მწვრთნელ იასონ ალადაშვილს ალალად ათქმევინეს, თბილისიდან დაუგეგმავი ქულა წავილეთო.

იხილეთ მე-2, მე-3, მე-4 გვერდები

# გრძნობათა ასიმეტრია



მორის გრინი

ედმონტონში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და პირველი ემოციებიც უკვე დაიხარჯა. 5 წლის წინ, ატლანტის ოლიმპიადაზე კანადელი სპრინტერის, დონოვან ბეილის სიხარული უსაზღვრო იყო, რადგან იგი ჩემპიონი გახდა, მაგრამ დრომ და ტრავმებმა ედმონტონში ბეილის მალული ცრემლის გარდა ვერაფერი არგუნა. გაიხარეს კი სხვებმა: მარათონი ეთიოპელმა გეზაგნე აბერამ მოიგო, ბირთვის კვრაში ამერიკელმა ჯონ გოდინამ იყოჩაღა და, რა თქმა უნდა, ვახსენებთ მორის გრინს, რომლის შედეგი 100 მეტრზე სირბილში სწორედ გამოსარჩევია: 9,82 წამი მხოლოდ წამის სამი მეასედით ჩამორჩება მისსავე მსოფლიო რეკორდს, სეზონის რეკორდიც გახლავთ და, რაც მთავარია, ნაკლებია იმავე გარბენისას გრინის პირველ კონკურენტად ქცეულ ტიმ მონტგომერის შედეგზე. წლის ყველაზე პრინციპული გარბენი მსოფლიოს პირველმა სპრინტერმა მოიგო.

იხილეთ მეათე გვერდი



დონოვან ბეილი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
13

# 2 ტური

# სიმრავლით გალამაზებული



გურამ ცისკარიშვილის ფოტო

ლევან მელქაძე (მარჯვნივ) ბათუმელებმა ბურთს არ გაჰკარეს

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

გოლები და სწრაფი ტემპი არ ყოფილა, მაგრამ თამაშს მაინც არა უშავდა. კარგი ბრძოლა გაჩაღდა, სახიფათო მომენტები უხვად შეიქმნა და მთელი 90 წუთი ერთობ დაძაბულად წარიმართა.

... ტულუშმა მკერდით კარგად დაამუშავე ბურთი და ოციოდე მეტრიდან შემობრუნებით ისე დაარტყა, რომ მცირედით ააცილა ხარიხას. მერე მაჭუტაძემ სცადა ბედი დაახლოებით იმავე დისტანციიდან და ამჯერად დაბალი ბურთი ვერ გაგზავნა ზუსტად მერლანის კარში. შემდეგ ქაცარავას რიგიც დადგა, რომელიც გვაზავას პასით მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ ვერც მან გაისწორა მიზანი. სახიფათო მომენტების ჯერი ბათუმელებმა მერლანის კარის ძელსგარტყმული ბურთით დაასრულეს — ჩხაიძემ მახვილი კუთხიდან ხუჯაძის პასი გოლად ვერ აქცია.

დროის ამ მონაკვეთში „ვიტ ჯორჯია“ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მოედნის ცენტრშიც მყარად მოიკიდა ფეხი, მაგრამ ბათუმელთა საჯარიმოს მისადგომებთან თამაშს ველარ ამწვავებდა. ტაიმის მეორე ნახევარში კი მასპინძლებმა რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს და მეტოქის კარის ჩარჩო მათაც შეაზანზარეს — ადამიას დიაგონალურ ჩაწოდებას წუწუნავამ თავური ისე შეაგება, რომ ბურთი ხარიხას გაარტყა.

შესვენებამდე თითოჯერაც გაიბრძოლეს გუნდებმა. ჯერ იყო და მაჭუტაძემ კარგად ჩამოიცილა კობიაშვილი და ახლოდან, მაგრამ უხერხული მდგომარეობიდან ააცილა მიზანს, მერე გოგობერიაშვილმა შორეული საჯარიმო ისე შეასრულა, რომ ძელთან ჩაზუზუნებულ ბურთს ჭანტურიამ მხოლოდ თვალი გააყოლა.

მეორე 45 წუთი „ვიტ ჯორჯიამ“ უკეთ ჩაატარა. ყველაზე კარგი შანსი დილმელაშვილს მიეცა, როცა ადამიას ჩაწოდებულს არაზუსტი თავური მიაყოლა. ბათუმელთა საჯარიმოს გარედან ვერ გაასწორეს მიზანი ნოზაძემ და მუჯირმა, უფრო ახლოდან თედორაძემ ვერ იყოჩაღა. თამაში ძირითადად ზღვისპირელთა ნახევარზე კი მიმდინარეობდა, თითქოსდა გოლიც მწიფდებოდა, მაგრამ „ბათუმმა“ გაძლო და ერთი-ორი მწვავე კონტრჩხვლეტაც გამოუვიდა.

და კიდევ, სტუმართაგან საუკეთესო პაატა მაჭუტაძე გახლდათ. ვეტერანი ფორვარდისგან ბევრი რამ აქვთ სასწავლი ახალგაზრდებს და ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ისევ მხოლოდ ძველები რომ ალამაზებენ ჩვენს ჩემპიონატს, ამას რაღა ვუყოთ?

*ასლან ბალაძე:*

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმც მოგებაც შეგვეძლო. დაცვითი ფეხბურთი არ გვითამაშია, უბრალოდ, კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში. სხვა მატჩებში განსხვავებულ ტაქტიკას გამოვიყენეთ. ჩვენი გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია და რაღაც-რაღაცეები შეიცვლება. თუნდაც ის, რომ შალვა აფხაზავა კარგ ფორმაშია და მას მომავალში აუცილებლად ვათამაშებთ. ამ მატჩში კი მაჭუტაძის უკან გამწესებული ტულუში ვარჩიეთ.

*ჯანი კარნევალი:*

— პირველ ტაიმში ჩემი გუნდის თამაში, რა თქმა უნდა, არ მომეწონა. „ბათუმმა“ რომ მომენტები შექმნა, ჩვენი ბრალია. ორი მცველით ვითამაშეთ, რადგან მეტოქემ ერთი ფორვარდი გამოიყვანა. მელქაძე რომ მარცხენა გარემარბად ვათამაშე, ამაში განსაკუთრებული არაფერია. მას ცენტრში გადანაცვლებაც უწევდა, რაც გოგობერიშვილს და დოლიძეს სივრცეს უთავისუფლებდა. ფსიქოლოგიური ფაქტორიც იყო — პირველ ტურში წავაგეთ და ფეხბურთელებს ძალიან უნდოდათ მოგება, ნერვიულობდნენ და ჩქარობდნენ.

მცხეთა. 5 აგვისტო. 18.30 საათი. არმაზი. 800 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

1 მერლანი

მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

4 კობიაშვილი 5 მუჯირი

2 არეშიძე 9 ნოზაძე 18 დილმელაშვილი 14 დოლიძე

7 გოგობერიშვილი

22 ადამია

16 წუწუნავა 21 მელქაძე

9 მაჭუტაძე

10 ტულუში

11 ჩხაიძე 7 ხუჯაძე 8 ზვ. გვაზავა 6 ქაცარავა

3 მინდაძე 4 არჩვაძე 2 ჩიჩუა

5 თურმანიძე

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

25 ჭანტურია

შეცვლა: დოლიძე — 10. გოჩაშვილი (57), ტულუში — 14. დარჩიძე (66), წუწუნავა — 17. ზ. მეტრეველი (79), გოგობერიშვილი — 23. თედორაძე (82), მაჭუტაძე — 13. აფხაზავა (90), ქაცარავა — 17. კობიძე (90)

გაფრთხილება: წუწუნავა (65), თურმანიძე (75), ქაცარავა (84)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

| | | |
|---|---|---|
| 8 | ჯარიმა | 11 |
| 7 | კუთხური | 0 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 1 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 5 |

# ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

# ებრაელებმა სამამდე ვერ დათვალეს და არ ჩაუთვალეს



დალიდ ბადირი

ისრაელის ჩემპიონი ჰაიფას „მაკაბი“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის ჯამში 5:0 სძლია ფინურ „ჰაკას“, უეფას მიერ ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოხსნილია, ამის მიზეზი, ჰაიფაში ჩატარებულ მატჩში, „მაკაბის“ შემადგენლობაში განაპირა მცველის დალიდ ბადირის თამაშია, რომელიც უეფას შარშანდელი სექტემბრიდან სამი საევროთასო მატჩით ჰყავდა დისკვალიფიცირებული. ასე რომ, „მაკაბის“ მიერ 4:0-ზე მოგებული მატჩი 0:3-ით შეიცვალა და ახლა მესამე ეტაპზე ინგლისურ „ლივერპულს“ „ჰაკა“ დაუპირისპირდება. ებრაელები კი უეფას გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, მათი თქმით, „ჰაკასთან“ საპასუხო მატჩისთვის ბადირს უკვე მოხდილი ჰქონდა დისკვალიფიკაცია.

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

II ტური

ვალდჰოფი 0:0 აინტრახტი

## დანია

III ტური

სილკებორგი 0:0 ლიუნგბიუ

## შვედეთი

XVI ტური

ნორჩიოპინგი 1:2 ჰამარბი

ტრელებორგი 1:1 იორებრო

ჰელსინგბორგი 1:1 მალმიო

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელის“ დამაარსებელი

**გრიგორი (გრიშა) გაგუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ქუთაისი. 5 აგვისტო. 20 საათი. ტორპედო. 4 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 3:0 კოლხეთი

1:0 აშვეთია (123), 2:0 ქუთათელაძე (27), 3:0 იონანიძე (60

1 გვარამაძე

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

12 აბრამიძე 6 ქემოკლიძე

3 მახვილაძე 5 თოდუა

4 დიდავა

5 ახალკაცი 2 იონანიძე 20 ასათიანი

10 აშვეთია 9 ზვ. ქუთათელაძე

8 წივწივაძე

20 ე. გვასალია

17 მუმლაძე 15 ქუტიძე 7 კრასოვსკი

9 ახვლედიანი

5 მ. ქობულაძე

11 კვირკველია 3 ტორჩინავა 10 ფანჩულიძე

მწვრთნელი: სოსო ფილია

1 მ. გვასალია

შეცვლა: მუმლაძე — 4. მიქელთაძე (40), ქუთათელაძე — 24. ხვადაგიანი (49), ასათიანი — 8. ბაბუნაშვილი (55), ახალკაცი — 7. გ. შენგელია (62), ახვლედიანი — 18. ყურაშვილი (65), კრასოვსკი — 16. ვართაგავა (84)

გაფრთხილება: ე. გვასალია (14), დიდავა (19), გვარამაძე (35)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯღვარიძე, მ. ურუშაძე, მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 16 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაზმა მერსედესს გაუმართიანა
# გორდა ჯაყჯაყმა ვერ შეარყია

პაატა კვანტალიანი

სვენებ-სვენებით, ჯაყჯაყით იარა რუსთავიდან თბილისს „ლაზით" გამომგზავრებულმა „გორდამ"... საოცარი კონტრასტი იყო „ეროვნულზე", „დინამოს" კომფორტულ, ორსართულიან „მერსედესს" ჩვენში ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელზე ხნიერი, ჯაგლაგი „ლაზი" რომ ამოუდგა გვერდით.

რუსთაველთა სასახელოდ („დინამოს" სავალალოდ), მოედანზე ყველაფერი გათანაბრდა. შემართებით, ჯიგრით იბრძოლა „გორდამ", ტოლი არაფერში დაუდო ფავორიტ მეტოქეს და დამსახურებულ ფრეს გამოჰკრა ხელი.

ბელარუსული „ბატეს" მზვერავს არ დაემალა „დინამო" და დებიუტშივე გააფთრებით ეკვეთა მოწინააღმდეგეს. მე-7 წუთზე თბილისელებმა ეფექტურად გაითამაშეს ჯარიმა, მაზიაშვილის პასის შემდეგ ბურდული კარგ პოზიციაში დარჩა და ბურნაძე რომ არ ჩახტომოდა, გაიტანდა კიდეც. ორიოდ წუთის შემდეგ კი სულაც ძელმა იხსნა სტუმრები, მას შემდეგ, რაც დარასელიამ 25 მეტრიდან მოულოდნელად გაისროლა. სწორედ აქ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „დინამო" პირველივე ტაიმში მოამთავრებდა საქმეს, მაგრამ რუსთაველები არ დაიბნენ, რაშიც არცთუ მცირე როლი ითამაშა მათმა სწორმა ტაქტიკურმა განლაგებამაც. იასონ ალადაშვილმა მეტ-ნაკლებად სტაბილურ ოთხკაციან დაცვას ხუთი ნახევარმცველი დაუყენა წინ. ამათ შორის იყო „გორდას" ლიდერი ვარლამ კილასონიაც. საქმისთვის უკანდახეული გამოცდილი ფორვარდი ჯარასავით ტრიალებდა მოედნის ცენტრში, საჭიროებისამებრ ბურთსაც კარგად იჭერდა და გამოზომილ პასებსაც არ უგვიანებდა თავდასხმაში ეულად მყოფ გოცირიძეს. ეს უკანასკნელი ბევრს ვერაფერს ახერხებდა, მაგრამ ყოველივე „დინამოს" დაცვაში მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდისას კილასონიამ ორი მეურვე ჩამოიშორა და გოცირიძე გრიშიკაშვილს შეატოვა, მეკარეს ეს მომენტი ცხვირის გახეთქვად კი დაუჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დროულად ჩაუწვა გოცირიძის დარტყმულ ბურთს.



დინამოელთა მეკარე იოსებ გრიშიკაშვილმა ბურთი სახით მოიგერია

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

ყველაფრის მიუხედავად, შეტევაში გარჯას ვერ დავუკარგავთ „დინამოს". ნოდიას ხელი აშკარად ეტყობა ათგზის ჩემპიონს. თბილისელები დახვეწილად, გამეცადინებულად მოქმედებდნენ მეტოქის ნახევარზე, ეფექტური იყო შეტევაში ამისულაშვილის ჩართვებიც, თუმცა მიქაძის გამო სიმწვავე აკლდა დინამოს იერიშებს — ახალგაზრდა ფორვარდი აშკარად ვერ იყო თამაშის იშტაზე.

„გორდა" მონდომებით იცავდა თავს და თავის შანსს ელოდა. ფაქტობრივად, უშეცდომოდ გაისარჯა გამოცდილი ბურნაძე, სტაბილური იყო კედელაშვილიც, რომელიც ერთობ დიდ სამუშაოს ასრულებდა — დაცვაში საქმემოლეული თავისი გუნდის ფლანგური კონტრშეტევების სულისჩამდგმელი იყო. სწორედ მისი წამოწყებული იერიშისას გადაურჩა „დინამო" აშკარა გოლს. 32-ე წუთზე კედელაშვილმა მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც გამოსვლაზე გრიშიკაშვილი შეცდა და გოცირიძემ ცარიელ კარში ბურთის გადაგზავნა ვერ მოახერხა. ტაიმის ბოლოს კი რუსთაველთა დაცვაც გატყდა, თუმცა მცველების შეცდომა კოროშინაძემ გამოასწორა და „მკვდარი ბურთი" აუღო დარასელიას.

მეორე ნახევარიც იერიშებით დაიწყეს მასპინძლებმა. ჯერ მაზიაშვილმა ააცილა 18 მეტრიდან, მერე კი ამისულაშვილმა შეატოვა ბურდული კოროშინაძეს, თუმც დარტყმა ამასაც გაუცუდდა. დინამოელთა ხუთწუთიანი შტურმი კი ბობოხიძის დარტყმით დასრულდა. შეცვლაზე შესულმა ექსტორპედოელმა ეფექტურად მოატყუა ორი მცველი, მაგრამ კოროშინაძეს ვერაფერი მოუხერხა და მეკარის მოგერიებული ბურთი მეორე ცდაზე ხარიხას გადააცილა. მერე კი მატჩი პირველი ტაიმისეულ სცენარს დაუბრუნდა, „გორდამ" სწრაფი კონტრშეტევებით ისევ შეძლო თამაშის გათანაბრება. ორჯერ კილასონიამ სცადა მოჭრილი დარტყმებით გოლის გატანა, ერთხელ კი ვარლამმა გოცირიძეს შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ რუსთაველთა ახალწვეული გვერდითმა სამხარაძემ გამოგონილი ოფსაიდით შეაჩერა.

დროის გასვლასთან ერთად „დინამო" უფრო და უფრო გააქტიურდა, ბობოხიძის მსგავსად თამაშში კარგად ჩაერთო ვახტანგ იაგორაშვილიც და მასპინძლებმა ზეწოლა უკვე ფლანგებზე გააძლიერეს. ერთ-ერთ ასეთ შეტევას მარჯვენა ფლანგიდან კუთხური მოჰყვა. იქიდან კი არჩილ სახვაძემ ოსტატურად დაახვია ბურთი „გორდას" საჯარიმოში. კოროშინაძე გამოსვლაზე შეცდა, შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ამისულაშვილმა კი ბურთი ბობოხიძეს დაუგდო, მანაც ბოლო წამს შეძლო ფეხის წარტყმა და ანგარიშის გახსნა. ამგვარ სიტუაციაში „გორდა" რომ გამტყდარიყო, ბევრიც ვერ გაამტყუნებდა. მაგრამ ივარგეს რუსთაველებმა, შერჩენილი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ანგარიში გაათანაბრეს. 90-ე წუთზე კილასონიას კუთხურის შემდეგ გრიშიკაშვილი გამოსვლაზე შეცდა და ბურთთან ყველაზე ადრე ბურნაძე გაჩნდა — 1:1.

დაუგეგმავი ქულა იყოო, გამოტყდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გახარებული იასონ ალადაშვილი. გივი ნოდიამ კი გარჯა შეუქო რუსთაველებს და „ბატესთან" უკეთ თამაშს დაგვპირდა.

თბილისი. 4 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 800 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:1 გორდა

1:0 ბობოხიძე (86), 1:1 ბურნაძე (90)

მწვრთნელი: გივი ნოდია

1. გრიშიკაშვილი

4. ვაშაკიძე, 5. შაშიაშვილი, 3. კანდელაკი

2. სვანაძე, 7. მაზიაშვილი, 11. ამისულაშვილი, 6. ა. სახვაძე

8. ბურდული, 9. დარასელია

10. გ.ვ. მიქაძე

10. გოცირიძე

6. კილასონია

38. ბუკია, 8. მელაძე, 5. ჩაჩუა, 21. ალადაშვილი

34. ლაშა სილაგაძე

2. კედელაშვილი, 3. ბურნაძე, 13. ზვ. ლაბაძე

22. კოროშინაძე

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

შეცვლა: ბუკია — 16. ლ. კაპანაძე (46), გ.ვ. მიქაძე — 17. ბობოხიძე (46), ბურდული — ვ. იაგორაშვილი (59), მაზიაშვილი — 15. მანჯგავა (70), ჩაჩუა — 9. ჯულელი

გაფრთხილება: გოცირიძე (44)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ი. შალამბერიძე, ა. კრიჟაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 12 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

# სინათლემ სიონს თვალი მოსჭრა

კახა შალამბერიძე

ეს მატჩი, ნავთლუღში, „შევარდენზე" უნდა გამართულიყო, მაგრამ „მერანის" ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა და ავჭალელებმაც „სიონს" მშობლიურ „სინათლეზე" უმასპინძლეს.

საქართველოს ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი ულიმღამო გახსნის ცერემონიალის შემდეგ შეხვედრაც დაიწყო. უპირატესობას თავიდანვე „მერანი" დაეუფლა და მთელი პირველი ტაიმიც მისივე კარნახით წარიმართა.



სულიკო დავითაშვილმა (მარჯვნივ) თავისი მაინც გაიტანა

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

მართალია, პირველ ნახევარში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, მაგრამ სანახაობრივად აშკარად სჯობდა მეორეს. უკვე მე-3 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი „სიონის" მცველებმა საჯარიმოს გარეთ გადააგდეს, სადაც მას მერანელი გაგუა დაუხვდა და მარცხენათი შეუჩერებლივ გაგზავნა ცხრიანში. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა. მიუხედავად ამისა, „მერანს" ტემპი ოდნავადაც არ დაუგდია. „სიონს" კი უფრო მეტად უჭირდა მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლა. სტუმართა შორის გამოირჩეოდა ბესიკ შენგელია, რომელიც „მერანის" კართან ხიფათის შექმნას ცდილობდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

მერანელთაგან კი მეტოქის კარის დალაშქვრა ორჯერ შეეძლო სულიკო დავითაშვილს. თუმცა „აბრეზა" ბოლო მომენტში სცოდავდა. დავითაშვილს ტაიმის ბოლოს კიდევ მიეცა საგოლე შანსი, როდესაც საჯარიმოში „სიონის" მცველებმა მას ბურთი თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან „მიართვეს", თუმცა...

მეორე ტაიმში, დავითაშვილის მეორე გოლამდე, თამაში მეტად უსახური გამოდგა. „სიონი" შეტევის განხორციელებას ცდილობდა, მაგრამ მასპინძლები თავს მშვიდად იცავდნენ.

ამ თხუთმეტწუთიან მონაკვეთში ერთობ იკლო სახიფათო მომენტებმა, თუმცა მე-60 წუთზე მარცხენა ფლანგის ბატონ-პატრონმა კოშკაძემ დაბალი დიაგონალური პასით მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურად მოთამაშე დევიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, „მერანის" კაპიტანმა კი საჯარიმოში შესვლას დარტყმა ამჯობინა — ვოლკოვი ბურთს ნახტომში დაეუფლა. ამ მომენტიდან მატჩი ისევ დუნედ გაგრძელდა. „სიონს" არაფერი გამოსდიოდა, ხოლო მასპინძლები ამ ანგარიშითაც კმაყოფილნი იყვნენ.

მატჩის ბოლოს „მერანის" მწვრთნელმა დავით ჯიშკარიანმა შეცვლაზე ირაკლი შენგელია გამოიყვანა, რომელმაც თამაში შედარებით გამოაცოცხლა. ჯიშკარიანმა გუნდს პირველ ტურში გაძევებული ოთარ გაბელიას ნაცვლად უთავკაცა. თუმცა გაბელია არც ამჯერად აკლებდა შეგირდებს დარიგებას და მოედნის გარედან შეძახილებით ამხნევებდა მათ.

„სიონმა" 83-ე წუთზე მთელი მატჩის განმავლობაში, ალბათ, ერთადერთი და მეტად სახიფათო მომენტი შექმნა, როდესაც ბესიკ შენგელიამ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, თუმცა ნაჭყეპიამ ლამაზ ნახტომში გააუვნებლა დარტყმული.

მანამდე კი „მერანის" საჯარიმოში წაქცეული ისიანი ითხოვდა პენალტს, მაგრამ მალალურაძისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

86-ე წუთზე კი დავითაშვილმა საჯარიმოს წინა ხაზთან ბაჯელიძისგან მიიღო პასი. „აბრეზა" დაუბრკოლებლად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ჯერ ირემაშვილი მოატყუა, შემდეგ — პაპიძე და დაბალი დარტყმით ვოლკოვისგან მარჯვენა კუთხეში გაიტანა ბურთი.

ბოლნისელებმა მანამდე ვერაფრით იხეირეს და რაღა გასაკვირი იყო, ამ გოლის შემდეგ „სინათლეზე" შეკრებილებმა მატჩი დამთავრებულად რომ ჩათვალეს, მაგრამ მასპინძლებმა ლამაზად დაწყებული საქმე ლამაზადვე დაამთავრეს: ბოლო წუთზე მუხინმა საჯარიმოს გარედან გაისროლა — 3:0.

„მერანმა" პირველი სამი ქულა ჩაიწერა, „სიონი" კი კვლავაც უქულოდაა.

თბილისი. 5 აგვისტო. 18:30 საათი. სინათლე. 1 500 (ტევადობა 2 000)

## მერანი 3:0 სიონი

1:0 გაგუა (3), 2:0 დავითაშვილი (86), 3:0 მუხინი (90)

1. ნაჭყეპია

მწვრთნელი: დავით ჯიშკარიანი

3. გუჯაბიძე

14. ჭინჭარაული, 2. გოგიტაძე

5. დევიძე, 16. მუხინი, 9. კოშკაძე

15. ბოლქვაძე, 10. გაგუა

8. ბაჯელიძე, 7. დავითაშვილი

10. ისიანი

16. ბ. შენგელია

5. ბარნოვი, 8. გოგოლაძე, 13. სვანიძე, 11. მოსეშვილი

19. შაყიაშვილი

7. მინდიაშვილი, 3. ირემაშვილი

9. სიდამონიძე

მწვრთნელი: ფირუზ რეხვიაშვილი

1. ვოლკოვი

შეცვლა: შაკიაშვილი — 2. პაპიძე (46), გოგოლაძე — 14. დაუშვილი (46), ბოლქვაძე — 13. ი. შენგელია (76), გაგუა — 11. ივერიანი (78), მოსეშვილი — 17. გლუნჩაძე (78), დავითაშვილი — 17. ნათობიძე (88)

გაფრთხილება: მუხინი (30), სვანიძე (35), ისიანი (64)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 22 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 8 | თამაშგარე | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხადაძის პირველმა მეტალურგი ბოლოზე გაამწესა

თბილისი. 4 აგვისტო. 19.30 საათი. 26 მაისი. 1 000 (ტევადობა 35 000)

## ლოკომოტივი 3:0 მეტალურგი

1:0 ონიანი (37), 2:0, 3:0 სირბილაძე (49, 68)
მე-4 წუთზე გოგიჩაიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

1 ლომაია

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

6 დავითნიძე · 4 სალუქვაძე · 23 ლაცაბიძე
20 ონიანი · 8 ჭიჭვეიშვილი · 2 ბალაშვილი · 11 გილაური
26 ანჩაბაძე
9 გოგიჩაიშვილი
18 სირბილაძე

10 კრავეიშვილი · 11 ფირცხალაიშვილი
6 ამაშუკელი
8 სუხიაშვილი · 7 ჭყონია · 18 გურეშიძე · 19 ორმოცაძე
5 მაღლაკელიძე · 3 ლურსმანაშვილი · 14 მემარნიშვილი

მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

1 მერკვილიშვილი

**შეცვლა:** ორმოცაძე — 9. ხმალაძე (55), ჭიჭვეიშვილი — 25. ქორიძე (60), გოგიჩაიშვილი — 13. გოდერძიშვილი (75), ხმალაძე — 17. ლონლაძე (86), დავითნიძე — 22. გოგნაძე (88)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი), გ. კოკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

| | | |
|---|---|---|
| 8 | ჯარიმა | 7 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 8 | კარში დარტყმა | 2 |
| 10 | თამაშგარე | 5 |



ვიცე-ჩემპიონობისთვის კუთვნილი მედლები „ლოკომოტივის" კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა ჩაიბარა

**ვაჟა ხუციშვილი**

პირველ ტურში ხელმოცარული გუნდები შაბათს ვაკეში შეიყარნენ. კახა ცხადაძისთვის, როგორც მთავარი მწვრთნელისთვის, ეს პირველი საშინაო მატჩი იყო და რასაკვირველია, „ლოკომოტივი" სამი ქულისთვის იბრძოლებდა.

შეხვედრის წინ რკინიგზელთა წინა სეზონის მიღწევები გაიხსენეს. ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს და თასის ფინალისტს კუთვნილი მედლები ბითუმად გადასცეს. კაპიტანმა გოგიჩაიშვილმა მილოცვა მიიღო, ჯილდო ჩაიბარა და სათადარიგო სკამზე მყოფთ გადააბარა.

ალბათ, ბათუმში ბოლო წუთებზე განცდილი მარცხი გახდა მიზეზი ზესტაფონელთა რიგებში მომხდარი ცვლილებებისა. სასტარტო შემადგენლობაში არ იყვნენ მერებაშვილი, თავბერიძე და ხმალაძე. თუ პირველი ორის შეცდომებზე ბათუმურ მატჩში ასე თუ ისე შეიძლება ვისაუბროთ, ხმალაძის ძირითადში არდაყენებამ ძალიან გაგვაკვირვა. მან ხომ პირველ ტურში ნამდვილად ჯიგრიანად ითამაშა.

შეხვედრის დაწყებიდან ორიოდ წუთში ცხადი გახდა, რომ „ლოკომოტივი" მოსაგებად იყო განწყობილი, ხოლო სტუმრები ერთგვარად შეშინებულნიც კი ჩანდნენ მასპინძელთა ასეთი აქტიურობით. „მეტალურგის" ფეხბურთელები, კრავეიშვილისა და ფირცხალაიშვილის გარდა, საჯარიმოს წინა ხაზთან ცდილობდნენ რკინიგზელთა შეტევების მოგერიებას. უკვე მე-4 წუთზე ონიანის მარჯვენაფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ახალგაზრდა სირბილაძემ გოგიჩაიშვილს თავით დაუგდო. ამ უკანასკნელმა მოძრაობაზე მცველი დაიჭირა და მასპინძელთა კაპიტანი ზედ პენალტის ნიშნულთან წააქციეს. მეშკოვმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა, რომლის შესრულებაც თავად დაზარალებულმა ითავა. მოკლე გამორბენი და... სტუმართა მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. იმის მაგივრად, რომ ზესტაფონელები გააქტიურებულიყვნენ, პირიქით, მასპინძლებმა უმატეს. ანჩაბაძის წამოწყებული კომბინაციები, მართალია, საგოლე მომენტებით არ მთავრდებოდა, მაგრამ თავის მხრივ სტუმრებმა საერთოდ ვერ შეძლეს შეტევების ორგანიზება. ამიტომაც მატჩის პირველმა ნახევარმა მთლიანად რკინიგზელთა კარნახით ჩაიარა.

ერთადერთი, რაც „მეტალურგის" მცველებს გამოსდიოდათ, ხელოვნური თამაშგარე იყო. თუმცა ტაიმის მიწურულს ისინი მაინც შეცდნენ და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა როინ ონიანმა სეზონში „ლოკომოტივის" პირველი გოლი გაიტანა. ეს გოლი ლოგიკური დასასრული იყო იმ მოვლენებისა, რომლებიც მოედანზე ვითარდებოდა. ბათუმური მატჩისგან განსხვავებით სტუმრები სრულიად ინერტულნი იყვნენ. ისინი მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს შორის გაჩენილი უფსკრულის ამოვსება ვასილ ჭეიშვილმა ვერ შეძლო.

შესვენების შემდეგ მასპინძლები სტუმართა უნიათობაში საბოლოოდ დარწმუნდნენ და „ლოკომოტივის" ფლანგელებმა გაილაღეს. მხოლოდ ორი მცველი — ლაცაბიძე და სალუქვაძე რჩებოდა მოედნის საკუთარ ნახევარზე, დანარჩენები კი შეტევებით იყვნენ გართულნი. შედეგად ზესტაფონელთა საჯარიმოში ხიფათი ხიფათზე იქმნებოდა. მარცხნიდან გილაური, მარჯვნიდან კი ონიანი გააზრებულად ირჯებოდნენ. 49-ე წუთზე ახალგაზრდა სირბილაძის დროც დადგა. ონიანის ჩაწოდებული „ლოკომოტივის" ახალწვეულმა მიწაზე დაუშვებლად მერკვილიშვილის კარში გაგზავნა და ანგარიში ორამდე გაზარდა. სტუმრები საბოლოოდ გატყდნენ, როცა იმავე სირბილაძემ ოცი წუთის შემდეგ კიდევ ერთი გაიტანა. თავის გამოჩენა სხვებსაც შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა იმერლებს სამი გოლი აკმარეს და შეხვედრის მიწურულს ტემპსაც უკლეს.

მატჩის დასრულებისთანავე ზესტაფონელთა მწვრთნელმა კოლეგას გამარჯვება მიულოცა, მაგრამ საინტერესოა, თავად როდის ექნება მისალოცად საქმე. „ლოკომოტივმა" გაიმარჯვა, თუმც ვერ ვიტყვით, რომ ამ თამაშით გუნდის ნამდვილი ძალის შეფასება შეიძლება. წინ მალტის „ბირკირკარაა".



ლოკომოტიველმა სირბილაძემ ორჯერ დაამარცხა მერკვილიშვილი და „მეტალურგი"

# უფულობა ერთია და...

წყალტუბო. 4 აგვისტო. 18.30 საათი. 26 მაისი. 800 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 3:1 გურია

1:0 მიქაძე (16), 1:1 მარლიშვილი (17), 2:1 დარსაძე (34), 3:1 ჯინჭარაძე (82)
90-ე წუთზე ენდელაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

1 ბოდოკია

მწვრთნელი: გია გიგატაძე

2 ბერაძე · 3 ფრანგიშვილი · 14 ბანძელაძე
17 შ. დონდაძე
9 კაცაძე · 10 დარსაძე
7 ჯინჭარაძე
16 კოპალიანი · 11 ვაჩიბერაძე
18 გ.ა. მიქაძე
13 დ. ოდიკაძე

9 მარლიშვილი · 7 სულაკაძე
16 ხუჭუა · 10 ებრალიძე · 11 ენდელაძე
17 კაცია · 4 გაბრიჭიძე · 3 ორბელაძე · 14 ფაცურია

მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე

1 გ. დოლიძე

**შეცვლა:** ხუჭუა — 8. განევი (46), ებრალიძე — 2. კ. მეტრეველი (58), ფაცურია — 12. ნ. მელაძე (70), ვაჩიბერაძე — 12. კ. ჯანაშია (83), კოპალიანი — 4. ფხაკაძე (85), მიქაძე — 19. ჯიქია (87)

**გაფრთხილება:** კაციაშვილი (37), მარლიშვილი (50), ორბელაძე (74)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა (თბილისი), ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 28 | ჯარიმა | 16 |
| 1 | კუთხური | 2 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 7 | თამაშგარე | 9 |

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

ნამეტანი მოუვიდა პირველ ტურში „სამგურალს", ფოთში დიდი სირცხვილი ჭამა. წყალტუბოელებმა კოლხთა ექვს გოლს ვერაფრით უპასუხეს და, ამიტომაც იყო, უმალ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის უპირველეს კანდიდატებად მოინათლნენ. ოღონდ, გუნდი ერთი თამაშით არ ფასდება, წინ მთელი სეზონია და „სამგურალს" სასტარტო ფიასკოც ეპატიება, რაღა თქმა უნდა, თუკი ის ჩემპიონატში დასახულ მიზანს მიაღწევს, უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს. აბა, ფინანსურად გაჭირვებულ გუნდს მეტს ვინ რას მოსთხოვს.

უფულობა ერთია და თავმოყვარეობა მეორე. ზღვისპირეთში მწუთხე მარცხის მერე წყალტუბოელები საკუთარ ქომაგთა წინაშე რეაბილიტაციას ლამობდნენ და „26 მაისზე" ჩემპიონატის გახსნის სავალდებულო ცერემონიის შემდეგ საქმესაც შეუდგნენ...

მატჩის საწყისი წუთები მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა და ეს უპირატესობა მალევე ანგარიშშიც გამოიხატა. ვაჩიბერაძემ ისარგებლა გურულთა დაცვაში დაშვებული შეცდომით. საჯარიმოს კუთხესთან ხუჭუას გოლკიპერისკენ გაგზავნილი ბურთი ჩაუჭრა და შეტევის საუკეთესო გაგრძელებაც მოძებნა, უმალ სამეკარეოს წინ ჩააწოდა, სადაც მიქაძემ იმარჯვა, კარისკენ ზურგშექცევით მდგარმა ნახტომში ეფექტურად გადაგზავნა ბურთი ბადეში.

ამის შემდეგ თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. მისი ხარისხისა რა მოგახსენოთ, მეტოქეები ძალიან ბევრს სცოდავდნენ, მაგრამ რასაც ვერცერთს დაუკარგავ, თავგამოდებით იბრძოდნენ. გურულთა გააქტიურებას მე-15 წუთზე უნდა გამოეღო ნაყოფი, როცა ებრალიძემ შეუტია მარჯვნიდან და მასპინძელთა საჯარიმოსკენ სახიფათოდ გაგზავნა, ენდელაძე კი კართან ახლო ბურთს დასარტყმელად ვერ მიწვდა. თუმც ორ წუთში წონასწორობა მაინც აღდგა. ამჯერად წყალტუბოელებმა მოისუსტეს დაცვაში, მეკარემ და მცველმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, ბურთი მარლიშვილს მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს გარედან ზუსტად გაისროლა.

ტაიმის დამთავრებამდე მოედანზე საყურადღებო ბევრი არაფერი მომხდარა, ბევრი კი არა, მხოლოდ ერთხელ იყო, მოსაბეზრებელ თამაშში წყალტუბოელთა სწრაფმა იერიშმა რომ გაიელვა და ამას „გურიას" კარში მეორე გოლი მოჰყვა. 19-წლამდელთა ნაკრების წევრის ლევან კოპალიანის მიერ მარჯვენა ფლანგიდან სტუმართა კარისკენ გაჭრილ ბურთს შორეულ ძელთან დარსაძე დაუხვდა და მახვილი კუთხიდან მოხდენილი თავურით დოლიძეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ნახევრისთვის გურულთა დამრიგებელმა ზაზა გურიელიძემ ტაქტიკურ გადაადგილებებს მიმართა. შესვენებამდე მარჯვენა მცველად გამწესებულ კაციაშვილს იმავე ფლანგზე ნახევარდაცვაში მიუჩინა ადგილი, დავით ოდიკაძეს წინ ენდელაძე მიახმარა. რა მოიგო ამით „გურიამ"? ის რომ, სათამაშო ინიციატივას დაეუფლა, სტუმრები მასპინძლებზე ხშირად აკონტროლებდნენ ბურთს, ოღონდ, ამით ვერ ხეირობდნენ. ნახევარი საათი ისე გაილია, „სამგურალს" საფრთხე არ დამუქრებია. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ გურულებს გატანის შანსი. ჯერ გაბრიჭიძემ საკმაოდ შორიდან ძლიერად დაარტყა კარის დაბალ კუთხეში, მაგრამ მცირედით ააცილა, მერე ენდელაძემ სოლო რეიდის შემდეგ მეტად ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ნუკრი მელაძე, ამან კი მიზანში ვერ მოახვედრა. ჰოდა, მალევე დაისაჯნენ გურულები. საპასუხო შეტევაში ვაჩიბერაძესგან მიღებულ ბურთს ჯინჭარაძემ საჯარიმოს გარედან, ერთი შეხედვით, არცთუ ძლიერად დაჰკრა, მაგრამ კარში კი მიუჩინა ადგილი. აშკარად შეცდა ამ ეპიზოდში დოლიძე, გამოცდილ მეკარეს ასეთი ბურთი არ უნდა გაეშვა.

ბოლოსკენ, არბიტრის მიერ დამატებულ დროში დოლიძის კოლეგამ იყოჩაღა. ბოდოკიამ სულაკაძის წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი იოლად აულო ენდელაძეს.

# არველაძე პარლამენტს შეიზნებს

## ნოდია ლიდერის კლონირებას არ აპირებს



გივი ნოდია



რევაზ არველაძე

მოგწონთ ახლანდელი თბილისის „დინამო"? შეუძლია ამ გუნდს, ბელორუსული „ბატე" წააქთციოს? რუსთავის „გორდასთან" ნათამაშევი ფრის შემდეგ მატჩზე დამსწრე საზოგადოების აზრი ცალსახა იყო, თუმც ერთი-ორი დისიდენტიც გამოჩნდა და... ერთი სიტყვით, ვის როგორ.

გუშინ კი „დინამოს" შტაბი ახალი შემადგენლობით პირველად წარსდგა პრესკონფერენციაზე. კლუბის სტრატეგია, მენეჯმენტი და უშუალოდ ფეხბურთი — მთავარი თემაც ეს გახლდათ.

*გივი ნოდია, მთავარი მწვრთნელი*

— ამ ეტაპზე მთავარი, რა თქმა უნდა, „ბატესთან" მატჩია. ეროვნულ ჩემპიონატში ორი ტური მოვიტოვეთ უკან, უეფას თასზე თამაში კი სულ სხვაა — „ბატესთან" წაფორხილების უფლება აღარ გვექნება.

— პრობლემები დაგვიგროვდა — შალამბერიძე კვლავ ტრავმირებულია, ზირაქიშვილის ამბავიც მოგეხსენებათ, „გორდასთან" მატჩში კი იაგორაშვილს ისე ეუხეშნენ, რომ „ბატესთან" ვერც ის ითამაშებს.

— ახალწვეული ბობოხიძე კარგად მოერგო გუნდს, მაგრამ გერმანიაში მან მცირე ტრავმა მიიღო და სრულად გამოჯანმრთელებული ჯერ არ ეთქმის.

— არ დავაკონკრეტებ, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის თამაშით უკმაყოფილო დავრჩი. თუმც რეზერვი თითოეულ დინამოელში იგრძნობა. ასე რომ, ყველას, მათ შორის ეროვნულ ნაკრების კანდიდატებსაც (შაშიაშვილი, ბურდული, სახვაძე), გვარიანი შრომა მოუწევთ.

— კარგია, რომ გულშემატკივარი განიცდის „დინამოს" ავ-კარგს — ეს უკვე „დინამოს" მონაგარია. გუნდს ახლა ნორმალური პირობები აქვს, ფეხბურთელები ჩვენსკენ მოილტვიან.

— ჩვენი ჩემპიონატი ბავშვთა ფეხბურთად არ უნდა ვაქციოთ, ფეხბურთელი ჯერ აქ უნდა მოღონიერდეს, გამოჩნდეს და მერე კარგ უცხოურ კლუბში წავიდეს. ჩვენი მოთამაშეები საზღვარგარეთ სინჯებზე მოუმზადებელნი რომ მიდიან, ამით ქართული ფეხბურთის ავტორიტეტი ეცემა.

*რევაზ არველაძე, კლუბის პრეზიდენტი:*

— დიღმის ბაზაზე მინდვრები მოვაწესრიგეთ — წვრთნის პროცესისთვის მთავარი ხომ ესაა. ახლა ინვენტარიზაციასაც მივხედავთ — ტრენაჟორები, აპარატურა, საუნები...

— უკვე იცით, რომ სამტრედიის „ოკეანესთან" შეთანხმებას მივაღწიეთ და მათ პირველ ლიგაში დაგვითმეს ადგილი. სამტრედიის „ოკეანესთან" ჩვენი ვალდებულებებიც გვაქვს. შედეგად, „დინამოს" ეროვნულ ჩემპიონატის სამივე ლიგაში ეყოლება გუნდი. სამი გუნდის შენახვა კი პატარა ამბავი არ არის და მინდა, მადლობა ვუთხრა იმათ, ვინც ამაში გვეხმარება. ეს გივი ნოდიას დიდი დამსახურებაცაა, ამ იდეის განხორციელებაში მან დიდი როლი ითამაშა. პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდს ჯემალ ჩიმაკაძე გაწვრთნის, რეგიონულლიგელ „დინამოს" კი გივი ნოდია და გოჩა ტყებუჩავა გაუძღვებიან. ასე რომ, საკმაოდ ფართომასშტაბიან სამუშაოებს ვატარებთ.

— ჩვენი სტრატეგია კატეგორიულია — „დინამო" არის „დინამო" და მაქსიმალურად ვეცდებით, ნიჭიერ ახალგაზრდებს ჩვენთან მოვუყაროთ თავი. ხოლო იმ სკოლებს, საიდანაც ეს ფეხბურთელები მოვლენ, ჯაფა აუნაზღაურდებათ.

— რაც შეეხება სატრანსფერო პოლიტიკას ამ სეზონისთვის, კიდევ რამდენიმე მოთამაშის გადმოყვანა გვსურდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ზოგი გვეუბნებოდა, რაც არ უნდა გადაიხადოთ, ფეხბურთელს მაინც არ დაგითმობთო, ზოგი კი ისეთ თანხას გვისახელებდა, რასაც ვერ შევწვდით.

*გია ისიანი, კლუბის მენეჯერი:*

— თავიდან „ადიდასის" ნაწარმის შეძენას ვაპირებდით, მაგრამ ამ ფირმის მოსკოველმა დისტრიბუტერებმა ფორმების ღირებულება გააძვირეს, თანაც ჩვენთვის კომპლექტის დამზადებას ვერ ასწრებდნენ. დრო არ ითმენდა და „ფრაიბურგის" მენეჯერმა ანდრეას რეტიკმაც „იაკოს" (JAKO) ვარიანტი შემოგვთავაზა. ჩაველი გერმანიაში, შევხვდი „იაკოს" წარმომადგენლებს და არჩევანიც ამ ფირმაზე შევაჩერეთ. „იაკო" რვა წელია, რაც არსებობს და ასეთ მცირე დროში დიდ წარმატებებს მიაღწია. „დინამოს" ფორმის კომპლექტები უსწრაფეს ვადაში, თვენახევარში დაამზადეს. რაც შეეხება ბურთებს, ბუცებსა და წვივსაფრებს, აქ უკვე „ადიდასის" ნაწარმით ვსარგებლობთ. „იაკო" ჯერ არ არის „დინამოს" ტექნიკური სპონსორი. წინასწარი ხელშეკრულება ჩვენს შორის თებერვალში იწურება და მერე ვნახოთ. ქართველი ინვესტორები და შეძლებული ხალხი კი ჯერჯერობით ნაკლებ ინტერესს გამოხატავენ „დინამოს" მიმართ.

*რევაზ არველაძე:*

— გვსურს, პარლამენტს ჩვენი პროექტი წარვუდგინოთ, თუმც ახლა ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა...

*გივი ნოდია:*

— რაც შეკრებიდან დავბრუნდით, ორჯერად ვარჯიშებს ვატარებთ, მაგრამ ეს ზედმეტი არ გახლავთ. ცალკეული ფეხბურთელები უძლებენ ამ დატვირთვებს და დანარჩენებმა რატომ ვერ უნდა შეძლონ? ამიტომაცაა, რომ სიმსუბუქე ყველა დინამოელის თამაშში ჯერ არ იგრძნობა. ახლა, „ბატესთან" შეხვედრამდე ფეხბურთელებს დატვირთვებს, რა თქმა უნდა, შევუმცირებთ, ისე, სიცხეში თამაში არც ბელარუსებისთვის იქნებ იოლი. ჰოდა, მთავარი უფრო მაინც ფსიქოლოგიური ასპექტია. ჩვენ და ბელარუსები ფეხბურთის განვითარების მხრივ, ფაქტობრივად, ერთნაირ სიტუაციაში ვართ, თუმც ჩვენგან უფრო მეტი ფეხბურთელი მიდის უცხოეთში სათამაშოდ.

— გუნდში ლიდერის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ვიტალი დარასელიას, მე სულაც არ ვცდილობ, რომ მისგან ხელოვნურად შევქმნა ლიდერი. ეს თავისთავად უნდა მოხდეს. ისე კი, გეტყვით — კარგად მახსოვს, უფროსი ვიტალი დარასელია „დინამოს" დუბლშემადგენლობაში რომ თამაშობდა და უმცროსი ვიტალიც თავისი ხასიათით, ნატურით და შემართებით მამამისის ასლია...

**დავით თავართქილაძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

✷ პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
✷ გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# მართალი ჰუუბ

## ბოროტი ტოპმიოლერი და ცუდი ქალაქი ქართველებისთვის



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — შალკე. მიუნხენელებმა თომას ლინკემ და ოუენ ჰარგრივსმა გელზენკირხენელ ჭერალდ ასამოას (შუაში) მიწა გამოაცალეს

### გერმანია

**ჰერტა 0:2 დორტმუნდი**

0:1 ამოროზო (52), 0:2 სტევიჩი (87)
ჰერტა: კირალი, სიმუნიჩი, ვან ბურიკი (ჰარტმანი 80), კონსტანტინიდისი, ბაინლიხი, რემერი, გოორი (ნოიენდორფი 78), დაისლერი, მარსელინიო, ალვეში (სვერისონი 78), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ი. კოლერი, ევანილსონი, ჰაინრიხი, როიტერი, სტევიჩი, რიკენი (რეინა 74), როსიცკი (მეცელდერი 89), ამოროზო (ოლისე 78), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მსაჯი: ფლაიშერი
55 000 მაყურებელი
გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, სიმუნიჩი, ნოენდორფი, ჰაინრიხი

**ჰანზა 0:3 ლევერკუზენი**

0:1 ბასტურკი (12), 0:2 კირსტენი (65), 0:3 სებესკენი (76)
ჰანზა: შობერი, ბენკენი, იაკობსონი, ოსვალდი, რიდლევიჩი, ლანცი, ჰირში, მაული, ვაისჰაუპტი, სალუ (დი სალვო 87), არვიდსონი (ბაიერლე 63)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ლევერკუზენი: ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, რამელო, სებესკენი, პლასენტე, ბ. შნაიდერი, ბასტურკი (ოჯიგვე 78), ზე რობერტო (ვრანიეში 46), კირსტენი, ნოივილი (ბრდარიჩი 70)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
მსაჯი: მაიერი
25 100 მაყურებელი
გაფრთხილება: ჰირში, რიდლევიჩი, ბაიერლე, რამელო, ბ. შნაიდერი, ვრანიეში, პლასენტე

**ვოლფსბურგი 1:1 ზანქტ პაული**

0:1 რანი (7), 1:1 კარჰანი (85)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილიშკოვი, შნური (ფელდჰოფი 71), კრიგერი (პლასნეგერი 75), კარჰანი, აკონორი, მ. მადსენი (მუნტიანუ 58), კუპბაუერი, პონტე, პეტროვი, რიშე
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, შაინჰარდტი, ამადუ, ჰელდი, ინჩემანი (იაკუბუ 74), ბურგერი, რანი, მეგლე, სენსი (ბაირამოვიჩი 56), რატი (პაჩინსკი 83)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
მსაჯი: შტარკი
16 187 მაყურებელი
გაფრთხილება: კუპბაუერი, პონტე, პლასნეგერი, ამადუ, რატი

**ჰამბურგი 2:0 შტუტგარტი**

1:0 ალბერტცი (40), 2:0 მეიერი (50)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ტოფტინგი, გროთი (მალტრიცი 63), ჰოლერბახი, ალბერტცი (ჰაინცი 70), მეიერი (ბენჯამინი 86), მაჰდავიკია, იბოა
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკესი, ბორდონი, ვენცელი, სოლდო (ვუიევიჩი 75), ტიფერტი, ტოდტი (კურანი 53), ბალაკოვი, განია (ადემარი 75), ზაიცი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მსაჯი: ვაგნერი
39 026 მაყურებელი
გაფრთხილება: ჰერჩი

**ვერდერი 3:2 კოტბუსი**

1:0 ფ. ერნსტი (15), 1:1 კალუენი (25), 1:2 ლაბაკი (29), 2:2, 3:2 აილტონი (55, 64)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, ფრინგსი, ფ. ერნსტი, აილტსი, ბოდე, ბანოვიჩი, ა. ჰერცოგი, კლასნიჩი, აილტონი (სკრიპნიკი 88)
მწვრთნელი: თომას შააფი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯუროვიჩი, მატიუში, კობილანსკი (ბრაზილია 75), რეგეკამპფი, აკრაპოვიჩი, კალუენი, მირიუტა, ლაბაკი, ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
მსაჯი: კელერი
26 040 მაყურებელი
გაფრთხილება: ბანოვიჩი, აილტონი, პიპლიცა, ჰუჯუროვიჩი, მირიუტა, ტოპიჩი, რეგეკამპფი

**ბაიერნი 3:0 შალკე**

1:0 პიზარო (6), 2:0 შოლი (13), 3:0 ნ. კოვაჩი (39)
ბაიერნი: კანი, რ. კოვაჩი, ტიამი, ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ნ. კოვაჩი, ჰარგრივსი, შოლი (ფინკი 85), პიზარო (იანკერი 85), ელბერი (ციკლერი 71)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ნემეცი (კმეტჩი 46), უდე კამპიუსი (ვან ჰოოგდალემი 4), ვან კერკჰოვენი, მიოლერი, ბიომე, ასამოა (ვერმანტი 76), სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მსაჯი: ფანდელი
63 000 მაყურებელი
გაფრთხილება: ლიზარაზუ, ლინკე, ჰაიტო, სანდი, ასამოა, ვან ჰოოგდალემი

**კიოლნი 2:0 მიუნხენი**

1:0, 2:0 კურტი (47, 88)
კიოლნი: ბადე, კულმანი, სიხონე კელერი, რეები, შპენგერი, ბარანეკი, ლოტნერი (ფოიგტი 83), რაიხი (შერცი 73), კრიოცი (უედრაოგო 82), კურტი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
მიუნხენი: იენჩი, რისეტი, ტ. ჰოფმანი, გრაილიხი (ფ. ტაპალოვიჩი 4), ტისი (დედენი 53), ბორიმიროვი, მიუკლანდი, ჰესლერი, ვიზინგერი (იპუა 68), მაქსი, შროტი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
მსაჯი: ბერგი
30 000 მაყურებელი
გაფრთხილება: ბარანეკი, სიხონე, შროტი, რისეტი, ფ. ტაპალოვიჩი

**ნიურნბერგი 2:0 ფრაიბურგი**

1:0 მიხალკე (23), 2:0 გომიში (56)
ნიურნბერგი: კამპა, ფრაი, კოში, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, ნიკლი (ოგუნგბურე 81), სანე, ლ. მიულერი, იაროლიმი (ჰობში 73), მიხალკე, გომიში (დრილერი 83)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კული, ცქიტიშვილი (ვილი 66), ზაიერი, კობიაშვილი, კულიბალი, ბუტი (ბრუნსი 4), რამდანე (იაშვილი 37), ტანკო
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
მსაჯი: იანსენი
36 700 მაყურებელი
გაფრთხილება: კოში, რამდანე, კობიაშვილი

**ლაუტერნი 3:2 გლადბახი**

0:1, 0:2 ვან ლენტი (52, 61), 1:2 ბასლერი (67), 2:2 ჰ. კოხი (89), 3:2 რამზი (90)
ლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ჰენგენი, კნავსი, შტრასერი, ბასლერი, რამზი, რიდლი (მარშალი 79), ლინკოლნი (რატინიო 65), ლოკვენცი, პეტერსონი (კლოზე 60)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტჩი, ვიტეჩეკი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, დემო, კორჟინეცი (კუნცელი 57), ვან ჰუდტი (მაიკელი 76), ვან ლენტი (ასანინი 74)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
მსაჯი: ზიპელი
40 600 მაყურებელი
გაფრთხილება: ლინკოლნი, ვან ლენტი, კორელი

**მიხეილ ჯავახიშვილს** ერთი გულისამაჩუყუბელი მოთხრობა აქვს, რომელსაც „მართალი აბდულა“ ჰქვია. უბრალო და ალალ-მართალ თათარს თავისივე ახლობლები ისეთ რამეებს მოუწყობენ, რომ „სასხალი“ აბდულ ქერიმი ქალებისა და ბავშვების მკვლელი შეიქმნება.

აბდულა დიდ ხანს არწმუნებს ყველას თავის უდანაშაულობაში, მაგრამ არავინ უჯერებს და მისი ტრაგედიაც ამ უნდობლობიდან იწყება.

არა, „შალკეს“ მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი ღმერთმა დაიფაროს კრიმინალისა და მისთანებისგან, მაგრამ თათრისა არ იყოს, წინა კვირას „კიკერისთვის“ ალალად ნათქვამი სიტყვები მასაც არავინ დაუჯერა, არადა, გრძნობდა, ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა: ჩემი ფეხბურთელების მზადყოფნით უკმაყოფილო ვარ, ფორმაში არ არიან, მაგრამ რა ვუყო, ვერაფერს ვასმენო — ამბობდა. შაბათსაც „ბაიერნთან“ სამარცხვინო წაგების მერე დაახლოებით იგივე გაიმეორა: „ვაფრთხილებდი, შარშანდელი წარმატება არაფერს ნიშნავს-მეთქი, მაგრამ არავინ მისმენდა. ახლა კი ყველა ხვდება, რომ თავგანწირული მუშაობის გარეშე არაფერი გამოდის.“

ინტრიგა მართლაც დიდი იყო. გახსნის ტურში დებიუტანტ „გლადბახისგან“ ნაგვემი „ოფიციალური“ ჩემპიონი „ბაიერნი“ შინ ლაფის მოწმენდას ეცდებოდა, „სახალხო ჩემპიონი“ „შალკე“ კი ახალ სეზონში სულაც პირველად დაენახვა გულშემატკივრებს.

მიუნხენელი ფანები სტუმრებს არცთუ გულითადი ლოზუნგით შეხვდნენ: „მივესალმებით გერმანიის ოთხწუთიან ჩემპიონს!“ — ეწერა უზარმაზარ პლაკატზე. ამით ბავარიელებმა გელზენკირხენელებს იარაზე მარილი მოაყარეს, შარშან, ბოლო ტურში ხომ ისინი 240 წამს ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ „ჰამბურგთან“ ბოლო წამზე გატანილმა გოლმა პირველობა ისევ „ბაიერნს“ არგუნა.

მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიაა. ამ შაბათს კი მასპინძლებმა აშკარად დაჩაგრეს სტუმრები. უკვე მე-13 წუთზე საქმე მოთავებულ იყო, „ბაიერნი“ 2:0 იგებდა, ხოლო შალკელებს ყურები ჩამოეყარათ.

მთავარი კაცი მეჰმეთ შოლი გახლდათ. ეფენბერგის არყოფნაში მან ცენტრი დაიპყრო, სამივე გოლში ხომ მონაწილეობა მიიღო და გამთამაშებლის გარდა მესამე თავდამსხმელის სამუშაოსაც ხშირად ასრულებდა.

პირველად შოლის გადაცემა პიზარომ აქცია გოლად, მალევე შოლმა საჯარიმოდან მეორე შეაგდო, ტაიმის მიწურულს კი იმავე შოლის ოსტატურ კუთხურს ნიკო კოვაჩის გონივრული თავური მოჰყვა.

სხვათა შორის, ელბერთან თავდასხმის წყვილში ჩინებულად ითამაშა პერუელმა პიზარომ: მგონი მე და ბრაზილიელს ერთმანეთის თვალდახუჭულებსაც გვესმისო — ასეთი იყო ბედნიერი პიზაროს კომენტარი.

მოკლედ, „ბაიერნმა“ კლანჭები გამოაჩინა, თუმცა ჯერჯერობით უფრო ბასრები „ლაუტერნი“, „ლევერკუზენი“ და „დორტმუნდი“ არიან, რომლებმაც საწყის ორ ტურში ქულაც არ დაკარგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათიას ზამერის გუნდის ძლიერი დასაწყისი. „ჰერტასთან“ ბერლინურ მატჩში ფავორიტებად მასპინძლებს მიიჩნევდნენ, მაგრამ „ყვითლებმა“ იძალეს. ისევ გაიბრწყინა „პარმადან“ გადასულმა ბრაზილიელმა ამოროზომ. მეორე ტაიმის დასაწყისში ჩეხი როსიცკის დიდებული გამჭოლი პასი გამოიყენა, ბურთი ხარიხის ქვეშ შეაგდო და ისევე, როგორც გლადბახელ ვან ლენტს, ორ მატჩში სამი გოლი მოუგროვდა.

მეორე ბურთი ბერლინელებს რეინას გადაცემით სტევიჩმა გაუტანა.

კლაუს ტოპმიოლერის „ლევერკუზენმა“ „ჰანზა“ დაანგრია და ახალსახლობა ჩაუმწარა. როსტოკის სტადიონის რეკონსტრუქცია 65 მილიონი მარკა დამჯდარა, მაგრამ რად გინდა...

წაავგო ჩვენებურთა „ფრაიბურგმა“ და მეორედანაც უკვე შეჩვეულ მეექვსე ადგილზე ჩაცოცდა: ნიურნბერგში, იქ სადაც თავის დროზე გერმანიის ნაკრებს ქართველები 4:1 დაუმარცხებია, მასპინძლებმა მიხალკესა და გომიშის გოლებით მოიგეს. ამჯერად ქართველთაგან თავიდანვე კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა ითამაშეს. იაშვილმა პირველივე ტაიმში შეცვალა რამდანე. თუმცა ეს დღე „ფრაიბურგისა“ ნამდვილად არ იყო. „კიკერმა“ ფოლკერ ფინკეს ბიჭებს ერთობ დაბალი შეფასებები ჩამოუწერა, მათ შორის ქართველებსაც: კობიაშვილს — 4, ცქიტიშვილს — 5, ხოლო იაშვილს — 4,5.

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლაუტერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 3 დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 ბაიერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 6 ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 7 ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 8 გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 9 კოტბუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 10 ნიურნბერგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 12 ზანქტ პაული | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 ვოლფსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 15 ჰერტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 17 ჰანზა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 მიუნხენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მარსიო ამოროზო (დორტმუნდი) | 3 |
| არი ვან ლენტი (გლადბახი) | 3 |
| ჰარი კოხი (კაიზერსლაუტერნი) | 2 |
| მარკუს კურტი (კიოლნი) | 2 |
| ლუსიო (ლევერკუზენი) | 2 |
| აილტონი (ვერდერი) | 2 |

**III ტური**

11-12 აგვისტო

მიუნხენი - ჰამბურგი
შტუტგარტი - ვერდერი
კოტბუსი - ნიურნბერგი
ფრაიბურგი - ჰერტა
დორტმუნდი - ვოლფსბურგი
ზანქტ პაული - ჰანზა
ლევერკუზენი - ბაიერნი
ლაუტერნი - კიოლნი
გლადბახი - შალკე

### მეორე ბუნდესლიგა

II ტური

**ალენი 1:0 ფიურტი**

1:0 დოლცერი (34)
ფიურტი: რაიხოლდი, უნსულდი, სკარაბელა, ბატისტა, ჰასა (ტური 65), აზუზი (პლასენრიხი 75), რაიხელი, სურმანი, ობერლაიტნერი, კიოიო, რუმანი (რუისი 79)
მწვრთნელი: უვე ერკენბეხერი
*გიორგი დეკანოიძე შემადგენლობაში ვერ მოხვდა*

**შვაინფურტი 2:1 ზაარბრიუკენი**

1:0 ჰებერლე (29), 1:1 ბრაიტკროიცი (41), 2:1 დორნბატი (57)

**ობერჰაუზენი 0:3 უნიონი**

0:1 კოილოვი (25), 0:2 რისტიჩი (55), 0:3 ისა (89)

**ბოხუმი 1:1 კარლსრუე**

1:0 შრიუდერი (7), 1:1 დ. ფუხსი (10)

**როიტლინგენი 2:3 არმინია**

0:1 ბრინკმანი (8), 0:2 ვიხნიარეკი (36), 1:2 გერსტერი (42), 2:2 შმიდელი (88), 2:3 ბორხესი (90)

**მაინცი 2:0 უნტერჰახინგი**

1:0 ბოდოგი (17), 2:0 ნკუფო (37)

**ჰანოვერი 3:0 ალემანია**

1:0 კაუფმანი (16), 2:0 დიოუფი (26), 3:0 სიმაკი (38)

**ბაბელსბერგი 3:1 დუისბურგი**

0:1 ვანა (39), 1:1 სლესაკი (44), 2:1 მილოვანოვიჩი (75), 3:1 ლორენცი (90)

**მანჰეიმი — აინტრახტი**

*წუხელ გვიან ღამით გაიმართა. იხილეთ მეორე გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მაინცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბაბელსბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| უნიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბოხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ვალდჰოფი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| არმინია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შვაინფურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფიურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| როიტლინგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| უნტერჰახინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| დუისბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| ალემანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-2 ტური: ვატენშაიდი — დიუსელდორფი 2:0, ლევერკუზენი (მ) — აუე 2:1, ურდინგენი — ფორტუნა 2:1, მაგდებურგი — მიუნსტერი 1:1, ფერლი — კილი 2:0, ესენი — ბრაუნშვაიგი 3:1, ქემნიცი — დრეზდენი 1:2, ლიუბეკი — პადერბორნი 3:2, ოსნაბრიუკი — ვერდერი (მ) 1:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-2 ტური: ერფიურტი — ვენი 1:2, ელფერსბერგი — ტრირი 2:1, ოფენბახი — შტუტგარტი (მ) 3:0, ფულდა — მანჰაიმი 0:0, რეგენსბურგი — ანსბახი 2:1, ჰოფენჰაიმი — დარმშტადი 0:1, კიკერსი — ბურგჰაუზენი 0:1, ზიგენი — აალენი 1:0, ბაიერნი (მ) — კაიზერსლაუტერნი (მ) 3:1



დანდი — ჰიბერნიანი. მასპინძლები ხუან სარამ (№9) დააწინაურა

# ლივინგსტონური ქულა

## შოტლანდია

II ტური

**დანდი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 სარა (9), 1:1 ონილი (59), 2:1 კაბალიერო (62)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, მაროკო რომანო, რავ ნემსაძე (გარიდო 61), კარანცა (რობერტსონი 79), სარა, კაბალიერო (მილნი 81)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

9447 მაყურებელი

**კილმარნოკი 0:1 სელტიკი**

0:1 ლარსონი (76)

**ჰართსი 1:0 აბერდინი**

1:0 კამერონი (20)

**სენტ ჯონსტონი 0:2 დანფერმლაინი**

0:1 ნიკოლსონი (6), 0:2 ნიკოლსი (55)

**მოზერუელი 0:0 დანდი იუნაიტედი**

**რეინჯერსი 0:0 ლივინგსტონი**

სამოციან წლებში შოტლანდიურ ფეხბურთში ერთი არაფრით გამორჩეული სამოყვარულო გუნდი „მედოუბენკ თისლი" მოღვაწეობდა.

იყო რა, თავისთვის — იქაური ბიჭები შაბათობით იკრიბებოდნენ და ერთობოდნენ. 1968 წელს გუნდი ქალაქ ლივინგსტონში გადასახლდა, წარმატებაზე ფიქრიც სწორედ მაშინ დაიწყო.

ექვსი წელი დასჭირდა ადგილნაცვალ გუნდს, რათა სქოთურ ლიგაში ადგილი მოეპოვებინა — თავიდან, ცხადია, სულ ქვედა, მეოთხე დივიზიონში. ამის მერე, ბევრი იწვალა თუ ცოტა, „ლივინგსტონმა" პირველ ლიგასაც უწია, წლეულს კი, მაისში, შოტლანდიის პრემიერლიგის საგზურიც მოიპოვა და, აგერ მეორე კვირაა, საფეხბურთო საზოგადოებას აოცებს: პირველ ტურში „ჰართსთან" მოპოვებულ სამ ქულას გასულ შაბათს კიდევ ერთი მიუმატა. კინკილა ქულა უძახეთ და „აიბროქსზე" ასეთი შედეგის მიღწევა "სელტიკის" გარდა ყველასთვის საპატიოა. მერე რა, რომ "რეინჯერსი" თურქულ „ფენერბაჰჩესთან" უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ემზადება? მერე რა, რომ „ლივინგსტონთან" მასპინძლებს არ ჰყავდათ ბარი ფერგიუსონი, ლორენცო ამორუზო, არტურ ნუმანი, კლაუდიო რეინა და კრისტიან ნერლინგერი? თუ ვინმეს დაკარგული ორი ქულა აქვს სადარდებელი, პირველ რიგში ლიგის დებიუტანტს — შეხვედრის ბოლო წუთები მიმდინარეობდა, როცა დევიდ ბინგემმა ხუთი მეტრიდან ბურთი „რეინჯერსის" კარის ძელს მოახვედრა. ცხადია, საგოლე მომენტი გლაზგოელებსაც ჰქონდათ, მაგრამ ლივინგსტონელთა ესპანელი მეკარე ფრანსისკო ხავიერ სანჩეს ბროტო კანიჯასა და მისთანა ავტორიტეტებს არ მორიდებია.

მოკლედ, „ლივინგსტონს" 4 ქულა აქვს, იმდენი, რამდენიც „დანდის". ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად მედგრად გაუძლო წარმატებულ სამ წუთში მეტოქის მიერ მოწყობილ შტურმს და პირველი ტურისგან განსხვავებით, გამარჯვება არ დათმო. არადა, „ჰიბერნიანს", ვისთანაც შარშან დანდელებს არცერთხელ მოუგიათ, მასპინძლებზე არანაკლები შანსი ჰქონდათ. განსაკუთრებით ედინბურგელთა ახალწვეული ულისეს დე ლა კრუზი აქტიურობდა, თუმცა დანდელთა დაცვა, განსაკუთრებით ხიზანიშვილ-დელ რიოს დუეტი, შეთანხმებულად მოქმედებდა. აკი, სწორედ ეს ორი ახალგაზრდა შეაქო ივანე ბონეტიმ — ძალიან პატარები არიან და მართალია, ხანდახან შეცდომები მოსდით, ერთმანეთს გადასარევად შეეწყვნენო. ამის გარდა, ზურა რამდენჯერმე შეტევაშიც ჩაერთო, ერთხელ კი მისი თავური დარტყმა ნიკ კოლგანმა ძლივს მოიგერია. რაც შეეხება დანდელთა გოლებს, მასში ქართველებს უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ — ორივე არგენტინელების დამსახურება გახლდათ.

სხვა საინტერესო მეორე ტურში „დანფერმლაინის" მეორე გამარჯვება (და შესაბამისად გალიდერება) და ჰენრიკ ლარსონის მიერ სეზონში პირველი ოფიციალური გოლის გატანა იყო. „სელტიკმა" სწორედ შვედის ერთადერთი ზუსტი დარტყმის წყალობით მოიგო და ჩემპიონთა თასზე ამსტერდამის „აიაქსთან" შეხვედრის წინ მეორე ადგილზე დაბინავდა.

**გიგა ქობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანფერმლაინი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| სელტიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| დანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლივინგსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰართსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დანდი იუნაიტედი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ჰიბერნიანი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კილმარნოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მოზერუელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| აბერდინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| სტ. ჯონსტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### პირველი დივიზიონი

I ტური: როს ქაუნთი — არბროა 0:2; ეირდრი — რეით როვერსი 2:2; ფალკირკი — ეირი 1:2; კლაიდი — ინვერნესი 1:1; პარტიკ თისლი — სტ. მირენი 3:3

### მეორე დივიზიონი

I ტური. ბირვუკი — ალოა 0:4; ჰამილტონი — ქუინ ოფ საუთ 1:1; მორტონი — სტენჰაუზმური 4:1; სტრენრარი — ქოუდენბითი 3:0; ფორფარი — კლაიდბენკი 1:2

### მესამე დივიზიონი

I ტური. დამბარტონი — ბრეჩინი 1:2; ისტ ფაიფი — ალბიონი 0:0; ილჯინი — ისტ სტირლინგი 2:1; სტირლინგი — პიტერჰედი 2:1; მონტროუზი — ქუინზ პარკი 3:1

## ინტერტოტოს თასი 2001
## დღეს

### ფინალური ეტაპი

**ნიუკასლი** (ინგლისი) — **ტრუა** (საფრანგეთი)

**პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) — **ბრეშა** (იტალია)

**ბაზელი** (შვეიცარია) — **ასტონ ვილა** (ინგლისი)

*პირველი მატჩი 7 აგვისტო, საპასუხო — 21 აგვისტო*

# ფიფაში ტელეფონით ენდობა

დღეს ინტერტოტოს პირველი ფინალური მატჩებია, რომელთაგან „პარი სენ ჟერმენ" — „ბრეშას" გამოვარჩევთ. ამის მიზეზი რონალდინიო გახდა.

გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდა ბრაზილიელ ვარსკვლავს „გრემიოსთან" კონტრაქტის ვადა რამდენიმე თვის წინ გაუვიდა და პარიზულ კლუბში გადაბარგდა, თუმცა თამაშის საშუალება ჯერაც არ მისცემია. ყოფილმა კლუბმა ქვა აგდო, თავი შეუშვირა და ირწმუნება, პსჟ-ს ფეხბურთელის სანაცვლოდ ჩვენი გვარიანი საკომპენსაციო თანხა მართებსო. ფრანგები გაოცებულნი არიან, ვერ გაუგიათ, გრემიოელები რას ითხოვენ და საქმის გარჩევა ფიფამ საკუთარ თავზე აიღო.

გარჩევა ჭიანურდება, დრო კი არ იცდის. ინტერტოტოს ფინალები კარსაა მომდგარი, რომელმაც გამარჯვებულებს უეფას თასის საგზურები უნდა მოუტანოს. ერთ-ერთი ფინალისტი „პარი სენ ჟერმენიცაა" და კლუბის მესვეურებს ფიფასთვის შეუთვლიათ, საქმის საბოლოოდ გარჩევამდე „ბრეშასთან" რონალდინიოს გაყვანის უფლება მოგვეცითო.

ფიფას შესაბამისი კომიტეტის სხდომა 22 აგვისტოსაა დანიშნული, ამიტომ ფრანგთა თხოვნის განხილვა კომიტეტის წევრებს საგანგებო სატელეფონო თათბირზე მოუხდათ და 21 წლის მოთამაშეს მინდორზე გასვლის უფლება მისცეს. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ რუფინენმა გააკეთა.

პარიზელები ხომ გახარებულები არიან და რონალდინიო — ორმაგად: „ახლა მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ვარ. ბოლო ექვსი თვეა, ერთიანად პრობლემებში ვარ ჩაფლული".

ცხადია, ემზადება „ბრეშაც" — ინტერტოტოზე მოთამაშე ერთადერთი იტალიური გუნდი. ბრეშელებმა წინა ეტაპები ისე გაიარეს, უძლიერესი შემადგენლობა არ გაუყვანიათ, ახლა კი ამის დრო დამდგარა. მწვრთნელმა კარლო მაცონემ თქვა, უეფაზე უთუოდ უნდა გავიდეთ, რისთვისაც პარიზში რობერტო ბაჯო და ახალწვეული ლუკა ტონიც მიმყავსო. მაცონესავე თქმით, ბაჯოს სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ დაუწყია, მაგრამ ბაჯო მაინც ბაჯოა.

**გიორგი დარჯანია**

## შვედეთი

მე-16 ტური: ჰალმსტადი — აიკ 2:2; იურგარდენი — ჰეკენი 2:1; სუნდსვალი — იორგრიტე 2:2; გიოტებორგი — ელფსბორგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 15 | 8 | 5 | 2 | 25:14 | 29 |
| იურგარდენი | 16 | 8 | 5 | 3 | 21:15 | 29 |
| გიოტებორგი | 16 | 7 | 6 | 3 | 27:18 | 27 |
| იორგრიტე | 16 | 6 | 7 | 3 | 23:18 | 25 |
| ჰალმსტადი | 16 | 6 | 5 | 5 | 34:22 | 23 |
| მალმიო | 15 | 7 | 2 | 6 | 26:21 | 23 |
| აიკ | 16 | 6 | 5 | 5 | 21:18 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 5 | 6 | 4 | 24:20 | 21 |
| ელფსბორგი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:29 | 19 |
| იორებრო | 15 | 3 | 8 | 4 | 23:25 | 17 |
| ნორჩიოპინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:24 | 17 |
| ჰეკენი | 16 | 3 | 6 | 7 | 19:25 | 15 |
| სუნდსვალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:22 | 14 |
| ტრელებორგი | 15 | 2 | 3 | 10 | 15:36 | 9 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი,
NHL,
NBA
☎ 8 22 009 000,
8 22 009 001


## შვეიცარია



მიხეილ ყაველაშვილმა (მარცხნივ) მეექვსე შვეიცარიული გოლი მიითვალა

### A ჯგუფი
VI ტური

**არაუ 2:3 ციურიხი**

0:1 ყაველაშვილი (31), 0:2 ჯამარაული (46), 0:3 შასო (47), 1:3, 2:3 ოკპალა (87, 89)

არაუ: ბენიტო, ეჯიმანი, პეიჯი (შმიდტი 70), სკრზიპჩაკი, იოლერი (შენკერი 70), მილუნოვიჩი, ვოიცეხოვსკი (ვენტურა 44), ფრიედლი, დენაპოლი, ოკპალა, გიგუ

ციურიხი: პასკოლო, მარტინ შტოკლასა, ფიშერი, ჩინაბი, ჯიანი (ბაუმანი 70), ჯამარაული, ხელინგა, ბიულმანი (კვენტინი 61), ყაველაშვილი (აკალე 81), შასო, მაგრო

გაფრთხილება: ოკპალა, ჯამარაული, ჰელინგა, მაგრო

6 200 მაყურებელი

**გრასჰოპერსი 6:1 სენტ გალენი**

1:0 იპოლიტი (9), 2:0 პეტრიჩი (27), 2:1 განე (28), 3:1, 4:1, 5:1 ნუნესი (66, 71, 74), 6:1 დიოპი (78)

**ლუგანო 3:0 ლოზანა**

1:0 გასპოცი (4), 2:0 მანინი (20), 3:0 მუფი (31)

**ლუცერნი 1:1 სერვეტი**

0:1 ფრეი (173), 1:1 კუბი (90)

**იანგ ბოიზი 3:2 სიონი**

1:0 ბერიშა (5), 1:1 მორეირა (15), 2:1 [illegible] (48), 3:1 ბერიშა (51), 3:2 კონსტანტინი (81)

**ქსამაქსი 1:0 ბაზელი**

1:0 არიფოვიჩი (3[illegible])

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| იანგ ბოისი | 6 | 3 | 3 | 0 | 13:7 | 12 |
| გრასჰოპერსი | 6 | 3 | 1 | 2 | 18:9 | 10 |
| სიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:6 | 10 |
| ქსამაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| აარაუ | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| სერვეტი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ლუგანო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| სენტ გალენი | 6 | 1 | 2 | 3 | 10:16 | 5 |
| ბაზელი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:15 | 4 |
| ლუცერნი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:16 | 2 |
| ლოზანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

### B ჯგუფი
VI ტური

მე-6 ტური: კონკორდია — ვადუცი 3:5; დელემონი — ივერდონი 3:1; კარუჟი — ბელინცონა 2:0; ლოკარნო — ვინტერტური 2:4; ტუნი — კრიენსი 0:2; ვილი — ბადენი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვადუცი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:9 | 12 |
| ბადენი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 11 |
| ვინტერტური | 6 | 3 | 2 | 1 | 14:11 | 11 |
| ვილი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:10 | 10 |
| დელემონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| კონკორდია | 6 | 2 | 2 | 2 | 12:12 | 8 |
| კარუჟი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ტუნი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:12 | 8 |
| კრიენსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ბელინცონა | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| ივერდონი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ლოკარნო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:12 | 2 |

## ავსტრია

მე-6 ტური: ადმირა — აუსტრია 2:4; კერნტენი — ბრეგენცი 1:1; რაპიდი — გრაცერი 0:4; რიდი — ზალცბურგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:0 | 13 |
| გრაცერი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 13 |
| შტურმი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 10 |
| რაპიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:11 | 10 |
| რიდი | 6 | 2 | 3 | 1 | 13:10 | 9 |
| ზალცბურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| კერნტენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| აუსტრია | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 6 |
| ბრეგენცი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:17 | 4 |
| ადმირა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:17 | 0 |

## ფინეთი

21-ე ტური: ატლანტისი — ჰიკ 1:0; ინტერი — როვანიემი 4:0; კუოპიო — ჰაკა 0:3; ვაასა — ჯაზი 0:3; მიუპა — ტამპერე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 21 | 12 | 7 | 2 | 33:15 | 43 |
| ტამპერე | 19 | 12 | 3 | 4 | 32:23 | 39 |
| ჰიკ | 21 | 10 | 8 | 3 | 37:13 | 38 |
| ჰაკა | 20 | 10 | 5 | 5 | 32:17 | 35 |
| ინტერი | 21 | 10 | 4 | 7 | 33:26 | 34 |
| ატლანტისი | 21 | 8 | 7 | 6 | 28:27 | 31 |
| ლაჰტი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:27 | 23 |
| კუოპიო | 20 | 5 | 6 | 9 | 17:29 | 21 |
| ვაასა | 20 | 6 | 2 | 12 | 22:34 | 20 |
| იოკერიტი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:38 | 20 |
| როვანიემი | 20 | 4 | 5 | 11 | 15:31 | 17 |
| ჯაზი | 20 | 2 | 7 | 11 | 15:30 | 13 |

### პორტუგალიის სუპერთასი

**პორტუ 1:0 ბოავიშტა**

1:0 ანდრადე (22)

## პოლონეთი

მე-3 ტური: ოდრა — გურნიკი 1:0; პოლონია — კატოვიცე 1:2; ვიძევი — ვისლა 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლებე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ოდრა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| პოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| ვისლა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ვიძევი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| კატოვიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ოსტროვიცი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| გურნიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

მე-3 ტური: რუხი — ლეგია 0:4; რადომსკო — გროცლინი 0:1; ამიცა — პოგონი 1:1; შლიონსკი — სტომილი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შლიონსკი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| პოგონი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| სტომილი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რუხი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ლეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:3 | 3 |
| გროცლინი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| რადომსკო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

## ნორვეგია

მე-17 ტური: რუსენბორგი — მოსი 6:0; [illegible]დიო გლიმტი — ლინი 5:2; ბრანი — [illegible] მსგოდსეტი 6:2; მოლდე — ტრომსიო [illegible] ბეკი — სოგნდალი 4:0; ვიკინგი — ბ[illegible] 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 17 | 10 | 5 | 2 | 47:20 | 35 |
| ბრანი | 17 | 10 | 4 | 3 | 47:25 | 34 |
| ვიკინგი | 17 | 10 | 4 | 3 | 31:19 | 34 |
| სტაბეკი | 17 | 11 | 1 | 5 | 34:23 | 34 |
| ლილესტრიომი | 16 | 10 | 3 | 3 | 42:23 | 33 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 8 | 4 | 4 | 32:22 | 28 |
| მოლდე | 17 | 8 | 4 | 5 | 33:27 | 28 |
| სოგნდალი | 17 | 5 | 4 | 8 | 25:38 | 19 |
| ბოდიო გლიმტი | 17 | 4 | 6 | 7 | 27:32 | 18 |
| ლინი | 17 | 3 | 7 | 7 | 27:31 | 16 |
| მოსი | 17 | 5 | 1 | 11 | 20:3[illegible] | 16 |
| სტრიომსგოდსეტი | 17 | 3 | 5 | 9 | 29:5[illegible] | 14 |
| ტრომსიო | 17 | 4 | 0 | 13 | 13:3[illegible] | 12 |
| ბრინი | 17 | 2 | 2 | 13 | 14:42 | 8 |

## დანია

მე-3 ტური: მიდტიულანდი — კოპენჰაგენი 0:0; ვიბორგი — ორჰუსი 0:0; ოლბორგი — აკადემისკი 0:2; ბრონდბიუ — ოდენსე 2:0; ესბიერგი — ვაილე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| კოპენჰაგენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ოლბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლიუნგბიუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| აკადემისკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ოდენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მიდტიულანდი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვიბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვაილე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| სილკებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ესბიერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ორჰუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

## ჩეხეთი

მე-2 ტური: იაბლონეცი — სლავია 3:1; ჰრადეც კრალოვე — სპარტა 0:5; ჟიჟკოვი — ტეპლიცე 3:0; დრნოვიცე — ბანიკი 1:2; ლიბერეცი — ბლშანი 2:0; ოპავა — სინოტი 1:2; პრჟიბრამი — ბოჰემიანსი 1:5; სიგმა — ბრნო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაბლონეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| ბოჰემიანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ლიბერეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბანიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ბრნო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სიგმა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ჟიჟკოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ბლშანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| სლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| სინოტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დრნოვიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ოპავა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ტეპლიცე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| პრჟიბრამი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| ჰრადეც კრალოვე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | 0 |

# პაჟიმ წაიმარადონა



სოშო — რენი. მიკაელ პაჟიმ (წინ) გოლს ხელი წაახმარა

## საფრანგეთი

II ტური

**მარსელი 0:0 ბორდო**

**ნანტი 1:2 ლანსი**

0:1 მორეირა (30), 1:1 კენი (72პ), 1:2 დიუფი (86)

**ოსერი 1:1 პსჟ**

0:1 პოკეტინო (40), 1:1 ჯ. სისე (81)

**ლიონი 2:0 სედანი**

1:0 ანდერსონი (26), 2:0 ლეგლი (76)

**მონაკო 0:0 მონპელიე**

**ლილი 3:1 ლორიანი**

0:1 დარშევილი (48), 1:1, 2:1 შერრუ (54, 59), 3:1 ბაკარი (85)

**სოშო 4:3 რენი**

1:0 ფრო (29), 2:0, 3:0 პაჟი (37, 38), 3:1 დიატა (44), 3:2 მონტერუბიო (45პ), 3:3 დიატა (53), 4:3 ფრო (90პ)

**მეცი 2:1 ტრუა**

0:1 გუსე (24), 1:1 ბა (35), 2:1 პიერი (40)

**გენგამი 1:0 ბასტია**

1:0 ბარდონი (90)

22 გოლი გავიდა საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ტურში, რაც პირველ ტურში გატანილზე ოთხით მეტია, მაგრამ მთელი რვა გოლით ჩამორჩება წინა სეზონის იმავე მაჩვენებელს. პირველად ბადე თბილისის „ვიტ ჯორჯიასთვის“ კარგად ნაცნობმა ნიკოლა გუსემ შეარხია. მან „მეცს“ შაბათს 24-ე წუთზე გაუტანა, მაგრამ მისი „ტრუა“ მაინც დამარცხდა. გუსე ვერ იპირველებდა, წინადღეს „მარსელისა“ და „ბორდოს“ მატჩი ნულოვანი ფრით რომ არ დამთავრებულიყო.

ჩემპიონატის პირველი წითელი ბარათიც „ტრუას“ ფეხბურთელმა დაიმსახურა. დავიდ ამედი 62-ე წუთზე გააძევა მსაჯმა მინდვრიდან. კაცნაკლულმა თამაში კიდევ „რენმა“ დაასრულა, რომელსაც 82-ე წუთზე გაელ დანიჩი გაუგდეს და ლამის შემობრუნებული მატჩიც დათმეს ბრეტონელებმა.

ორ შეხვედრაში ექვსი ქულა. „სოშომ“ ისე დაიწყო, ოქროს მედლების მაძიებელს რომ შეშვენის, არადა, იგი მხოლოდ და მხოლოდ პირველი დივიზიონის დებიუტანტია. თუმცა საფრანგეთში ხომ პატარა გუნდები ძალიან ხშირად აღწევენ წარმატებებს.

ელიტაში დაბრუნებული სოშოელები საკმაოდ კარგად გამოიყურებიან, განსაკუთრებით თავდასხმაში და მეტოქეებს ბევრ პრობლემასაც უჩენენ. პირველი სახიფათო მომენტი მე-8 წუთზე შექმნა მიკაელ პაჟიმ, რომლის დარტყმაც გაჭირვებით მოიგერია ექსბასტიელმა ერიკ დიურანმა. შემდეგ პიერ-ალენ ფროს რამდენჯერმე ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ დიურანი ისევ შეუვალი იყო.

„სოშომ“ მალე მთელ მოედანზე პრესინგს მიმართა და სასურველი შედეგიც მიიღო. ფრომ ლამინ დიატას მოჰპარა ბურთი სტუმართა კარიდან დაახლოებით 30 მეტრში და დიურანთან პირისპირ გავიდა. თავდამსხმელმა მეკარე იოლად დააწვინა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. სოშოელები გოლმა უფრო გაააქტიურა. ისინი ლამის თვალდახუჭულნი პოულობდნენ ერთმანეთს და ერთობ გაუჭირვეს საქმე „რენის“ დაცვას. 37-ე წუთზე კუთხურისას ფრომ თავით გადაუგდო ბურთი პაჟის, რომელმაც გაიტანა... ოღონდ მარადონასავით, ხელით.

რენელები ამან სულ დააბნია, ისინი ზედიზედ ორ ზუსტ პასსაც ველარ აკეთებდნენ და ორიოდ წუთში მესამე გოლიც გაუშვეს. ტრაპასოს გადაცემის შემდეგ ისევ პაჟიმ გამოიჩინა თავი თუმცა ამჯერად აღარ უცუღლუტია — 3:0.

ბრეტონელები თითქოს გატყდნენ და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ რაც პირველ ტურში „ოსერთან“ დაემართათ (0:5), ახლაც იგივე დღე დაადგებოდათ. მაგრამ ჩემპიონ „ნანტიდან“ გადასული ოლივიე მონტერუბიოს წყალობით სტუმრებმა თამაში გამოასწორეს და შესვენებაზე მხოლოდ მინიმალური ჩამორჩენით გავიდნენ. ჯერ საჯარიმოდან მის ჩაწოდებულს დიატამ ზუსტად დაჰკრა თავი, მერე კი თავად მონტერუბიომ შეაგდო თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი.

მეორე ტაიმი რენელთა უპირატესობით დაიწყო და მალე მონტერუბიო-დიატას კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა — 3:3! თუმცა სოშოელებმა მაინც გაიტანეს გამარჯვებისა და ეს მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე შეძლეს, როცა ესკუდემ ფრო წააქცია და თერთმეტმეტრიანით დაისაჯა.

„ნანტის“ ადგილზე, ცრუმორწმუნებს აყოლილი გუნდი პირველად „ლანსის“ მასპინძლობას გააპროტესტებდა, ანდა ცხვარს შეწირავდა, მაგრამ ნამდვილ ჩემპიონებს ამისა არ სჯერათ და შარშანდელივით წლეულსაც სეზონის პირველ საშინაო მატჩში ლანსელებს დაუხვდნენ... და ისევ წააგეს.

„ჩვენ გუნდის და თამაშის შექმნაზე ერთდროულად ვმუშაობთ. ძალიან გამიხარდა, როცა ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ბიჭები არ აირივნენ. ახლა მთავარია, არ გავდიდგულდეთ“ — თქვა ლანსელთა ახალმა თავკაცმა ჟოელ მიულერმა, რომელიც აქამდე „მეცს“ წვრთნიდა და 1997 წელს ოქროს მედლები სწორედ „ლანსთან“ ბრძოლაში დათმო.

მასპინძლებს გამთამაშებელი სტეფან ზიანი აკლდათ. პირველად სახიფათოდ მაინც მათ შეუტიეს. ნიკოლა სავინოს შეეძლო გიიომ ვარმიუზის დამწუხრება, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმართა კარის ხარიხას გაეხახუნა. ანგარიში კი ლანსელებმა გახსნეს — დანიელ მორეირამ ელ-ჰაჯი დიუფის პასი გამოიყენა. ნანტელებს გათანაბრება ბევრჯერ შეეძლოთ, მაგრამ ვარმიუზი მშვენივრად ირჯებოდა. 72-ე წუთზე ისიც უძლური აღმოჩნდა, რადგან ნესტორ ფაბრის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ოლივიე კენმა კარგად შეასრულა. მატჩის მიწურულს კი დიუფმა გამარჯვებისა შეაგდო და „ნანტი“ ცოტა ცრუმორწმუნე რომ იყოს...

პირველი გამარჯვება იზეიმა უმთავრესმა ფავორიტმა „ლიონმა“, რომელმაც „სედანს“ აჯობა. ლიონელებმა კარგად დაიწყეს და ბრაზილიელ ჟუნინიოს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა. მას არაფერი გამოუვიდა, მაგრამ გოლი „ლიონმა“ მაინც შეაგდო და ეს მეორე ბრაზილიელმა, სონი ანდერსონმა გააკეთა.

ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარც შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე კართან საკმაოდ შეიქმნა ხიფათი. შესვენების შემდეგ სედანელებს სამოთხჯერ შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ. სამაგიეროდ, ბრწყინვალედ შეასრულა ცაციათი ბოლო დარტყმა პიერ ლეგლმა და 2:0.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სოშო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ოსერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბორდო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ტრუა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლორიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გენგამი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| მარსელი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მონპელიე | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პსჟ | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბასტია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მონაკო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სედანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-2 ტური: ბოვე — გენიონი 0:1; კაენი — ვასკელი 1:0; შატორუ — აიაჩო 0:2; გრენობლი — ლე მანი 1:1; ლავალი — ისტრი 2:0; ნანსი — ამიენი 1:1; ნიმი — მარტიგი 0:0; ნიორი — ლე ავრი 2:2; სტრასბური — ნიცა 3:0; კრეტეი — სენტ ეტიენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| გენიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| სტრასბური | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| გრენობლი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| კრეტეი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლავალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კაენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| შატორუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბოვე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ისტრი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ნიცა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ნიორი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლე ავრი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| მარტიგი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ნიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| სენტ ეტიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ამიენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ვასკელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# რუსეთი უქართველებოდ...

## რუსეთი

XX ტური

**კრილია 1:1 ლოკომოტივი**

0:1 იზმაილოვი (59), 1:1 რადიმოვი (88)

**სატურნი 4:0 ჩერნომორეცი**

1:0 როგაჩოვი (33), 2:0 მოვსესიანი (42), 3:0, 4:0 როგაჩოვი (76, 79პ)

**ზილ 0:2 სპარტაკი**

0:1 პარფიონოვი (28), 0:2 რობსონი (58)

სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, მიტრესკი, ჩუისე, ბარანოვი, პარფიონოვი, ბულატოვი, რობსონი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი, ბესჩასტნიხი

*კახა მჟავანაძე სათადარიგო იყო*

**როსტსელმაში 1:2 როტორი**

0:1 პავლიუჩენკო (19), 0:2 ბონდარენკო (52), 1:2 კირიჩენკო (55)

როსტსელმაში: ბლიზნიუკი, მიკიტინი, შმარკო, როგოჩი, ლუშჩანი, ოსინოვი, სმაკოვი (ურაზბახტინი 69), შირშოვი (კრუშჩიჩი 46), ფომენკო (ადამოვი 46), გეტმანი, კირიჩენკო

*დავით ხმელიძე და ოთარ ხიზანეიშვილი დუბლშემადგენლობაში ითამაშეს*

**ტორპედო 2:1 ანჟი**

0:1 ბუდუნოვი (20), 1:1 ლეონჩენკო (33პ), 2:1 ვიაზმიკინი (41)

**ფაკელი 0:1 სოკოლი**

0:1 ნიზოვცევი (90)

სოკოლი: სმეტანინი, კუზნეცოვი, ბუგაკოვი, კოსოლაპოვი (ბავიკინი 46), ჟიდკოვი, ბალტიევი, ნიკიტინი (მაკევიჩი 46), ფედოტოვი, ნიზოვცევი, ვერეტენიკოვი (მუსინი 77), ფედკოვი

*პაატა ჯინჭარაძე შემადგენლობაში ვერ მოხვდა*

**ალანია 0:0 ცსკა**

**დინამო 1:3 ზენიტი**

0:1 ასტაფიევი (42), 1:1 შემბერასი (50), 1:2 სპივაკი (67), 1:3 კატულსკი (78)

დღეს, როცა შეჯიბრების დამთავრებამდე ჯერ კიდევ 10 ტური დარჩა, რუსი მედიელები სულ უფრო ხშირად ამბობენ, ქვეყნის ჩემპიონი წლეულსაც „სპარტაკი“ იქნებაო. ალბათ, ასეც მოხდება, თუმცა ზოგადად რუსთა წლევანდელი პირველობა ბოლო წლებისას ნამდვილად სჯობს. ეს კი, უმთავრესად პროვინციული „კრილიას“ „უცბად გამოვარდნის“ ბრალია. „კრილია“ კარგა ხანს პირველობდა, მაგრამ ბოლოსკენ, როცა ყველაფერს სატურნირო გამოცდილება და კლასი წყვეტს, „სპარტაკი“ ისევ ყველას თავზე მოექცა.

შაბათს „სახალხოებმა“ „ტორპედო ზილს“ 2:0 მოუგეს, თუმცა მეტად რთული თამაში კი გამოუვიდათ. საერთოდ, საბჭოთა დროებიდან მოყოლებული, „ტორპედო“ ერთ-ერთი იშვიათი იყო, ვისაც „სპარტაკთან“ მატჩებში დადებითი ბალანსი ჰქონდა. ახლაც, ავტოქარხნელები სპარტაკელთათვის უხერხულ მეტოქედ ითვლებიან. აკი თქვა კიდეც ოლეგ რომანცევმა: ამ თამაშის ტყუილად არ მეშინოდა, ძალიან გაგვიჭირდა, კიდევ კარგი მოვიგეთო.

ედუარდ სტრელცოვის სახელობის პატარა სტადიონი თითქმის მთლიანად გავსებულიყო. მაყურებელმა იხილა სპარტაკელთა ორი გოლი და ორმხრივი უხეშობის წარმოდგენა: „თამაშის მერე თერთმეტი კაციდან მხოლოდ ორს, ციხმეისტრუკსა და ბესჩასტნიხს არ მოუმართავთ ჩემთვის — თქვა „სპარტაკის“ ექიმმა იური ვასილკოვმა — საბედნიეროდ, მძიმედ არავინ დაშავებულა. ვერ გამიგია, ნუთუ შინაურ ჩემპიონატში მაინც არ უნდა არსებობდეს [illegible]. მგონია, რომ მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები ძალიან ფრთხილად თამაშობდნენ, გაშლილი ფეხით დარტყმები რომ აერიდებინათ“.

მოკლედ, ავტოქარხნელებს ასეთი ტაქტიკა აერჩიათ, თუმცა, ეპიზოდებში არც სპარტაკელები აკლებდნენ. ამ ვითარებაში საინტერესოა, რომ რომანცევს შეცვლა არ გაუკეთებია: „მართალია, უხეში თამაში იყო, მაგრამ სერიოზულად არავინ დაშავებულა. თანაც, თუ ფეხბურთელი მინდორს მთლად საღი ტოვებს, გამოდის ცუდად ითამაშა, რადგან არ იბრძოდა.

არავინ გამომიცვლია, იმიტომ, რომ მინდოდა გუნდს მედგარი ხასიათი გამოევლინა. უამისოდ „ტორპედო ზილს“ ვერ მოუგებ“ — ასეთი იყო სპარტაკელთა პრეზიდენტ-მთავარი მწვრთნელის პასუხი.

ამასობაში „ზენიტმა“ „პეტროვსკი პარკში“ „დინამო“ დაამარცხა და „სპარტაკს“ მხოლოდ ქულით ჩამორჩება. სტუმრებმა ანგარიში პირველი ტაიმის ბოლოს გახსნეს, კერჟაკოვ-სპივაკის კომბინაცია ასტაფიევმა დააბოლოვა. მართალია, მეორეს დასაწყისშივე „დინამომ“ მცველი შემბერასის შორეული დარტყმით გაათანაბრა, მაგრამ ამან „ზენიტი“ არათუ დააბნია, პირიქით, უფრო გააბრაზა და სპივაკისა და კატულსკის გოლებიც ამის დასტურია.

ცსკა-მ ორი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ და ახლა „სპარტაკს“ 5 ქულით ჩამორჩება. ბოლო დროს ჩავარდნილმა „ტორპედომ“ და „სოკოლმა“ კი „ანჟის“ და „ფაკელს“ აჯობეს და ლიდერთა ჯგუფში ისევ დაბრუნდნენ. ტორპედოელმა ვიაზმიკინმა თავისი მე-13 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას კვლავაც პირველობს. „სოკოლმა“ კი ვორონეჟში მსაჯის წამატებულ წუთებში გაიმარჯვა.

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ ისევ შერცხვა. ამჯერად რამენსკოეში „სატურნთან“ — 0:4. ახლა ზღვისპირელები მყარად დგანან ბოლო ადგილზე და მათი გვირაბის ბოლოს სინათლეც თითქმის აღარ კიაფობს, არადა, სულ მალე უეფას თასზეც სათამაშო აქვთ.

და კიდევ, მეოცე ტურში მინდორზე არცერთი ქართველი არ გამოჩენილა...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 20 | 11 | 6 | 3 | 32:17 | 39 |
| ზენიტი | 20 | 11 | 5 | 4 | 34:25 | 38 |
| ლოკომოტივი | 20 | 10 | 5 | 5 | 33:16 | 35 |
| კრილია | 20 | 10 | 5 | 5 | 26:15 | 35 |
| ცსკა | 20 | 9 | 7 | 4 | 25:15 | 34 |
| ტორპედო | 20 | 9 | 5 | 6 | 34:27 | 32 |
| სოკოლი | 20 | 9 | 5 | 6 | 22:25 | 32 |
| სატურნი | 20 | 8 | 6 | 6 | 27:15 | 30 |
| ანჟი | 20 | 5 | 8 | 7 | 19:18 | 23 |
| ალანია | 20 | 6 | 5 | 9 | 19:27 | 23 |
| როსტსელმაში | 20 | 6 | 4 | 10 | 18:24 | 22 |
| დინამო | 20 | 5 | 7 | 8 | 24:31 | 22 |
| როტორი | 20 | 5 | 5 | 10 | 23:31 | 20 |
| ფაკელი | 20 | 5 | 4 | 11 | 19:25 | 19 |
| ზილ | 20 | 4 | 6 | 10 | 13:28 | 18 |
| ჩერნომორეცი | 20 | 2 | 7 | 11 | 9:38 | 13 |



დინამო — ზენიტი. პეტერბურგელმა მაქსიმ ასტაფიევმა ბურთი კარში დატოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორაგბის თასი



ინტერი — იუვენტუსი. „იუვენტუსის“ რიგებში დისკვალიფიცირებულმა ედგარ დავიდსმა ითამაშა

## ინტერმა მორაგბი მოიგო

**ინტერი 3:0 ლაციო**

1:0 კალონი, 2:0, 3:0 ვიერი

ინტერი: ტოლდო, ხავიერ ძანეტი, ბლანი, მატერაცი, გეორგატოსი, კონსეისაუ, კრისტიანო ძანეტი, დალმა, გული, ვიერი, კალონი (ვენტოლა 40)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პობორსკი, მენდიეტა, სიმეონე, ფიორე, პანკარო, კრესპო, ლოპესი

**იუვენტუსი 0:1 ლაციო**

0:1 სალასი (ბულიტი)

იუვენტუსი: ბუფონი, ტუდორი, ტურამი, მონტერო, პარამატი, ძამბროტა, ტაკინარდი, ძენონი (მარესკა 31), ნედვედი, ტრეზეგე, დელ პიერო

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (კოლონეზე 25), ნესტა, მიხაილოვიჩი (ფავალი 9), პობორსკი (კასტრომანი 10), მენდიეტა (ჯანიკედა 2), სიმეონე (დინო ბაჯო 25), ფიორე (დე ლა პენია 25), პანკარო, ლოპესი (სიმონე ინძაგი 9), კრესპო (სალასი 31)

**ინტერი 1:0 იუვენტუსი**

1:0 ვიერი

ინტერი: ტოლდო, ხავიერ ძანეტი, ბლანი, მატერაცი, გეორგატოსი, კონსეისაუ (ვივასი 28), კრისტიანო ძანეტი, დალმა (ოკანი 40), გული (ზეედორფი 19), ვენტოლა, ვიერი

იუვენტუსი: ბუფონი, ტუდორი (ფერარა 13), ტურამი (ძენონი 39), მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი (მარესკა 25), ნედვედი, დავიდსი, ამოროზო, კოვაჩევიჩი

მილანის „ინტერმა“ თავისი პრეზიდენტის სახელობის თასი არავის დაანება. სამთა ტურნირზე, სადაც მის გარდა „ლაციო“ და „იუვენტუსი“ მონაწილეობდნენ, ორივე თამაში მოიგო და გამარჯვებულიც გახდა. უნდა ითქვას, რომ ეს გამოდგა მილანელთა მიერ მოგებული პირველი, თუმცა არაოფიციალური ტურნირი ახალი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის ხელმძღვანელობით.

მატჩები ორტაიმიანი იყო. თუმცა, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, თითო ტაიმი 22.5 წუთს გაგრძელდა. ჯერ „ინტერი“ და „ლაციო“ შეხვდნენ. კუპერის გუნდმა დინო ძოფის ბიჭებს 3:0 მოუგო. ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

მატჩის გმირი კრისტიან ვიერი გახდა, რომელმაც მოჰამედ კალონის მიერ გატანილ პირველ გოლს კიდევ ორი დაუმატა და როგორც იუწყებიან, დიდი თავსატეხი გაუჩინა რომაელთა დაცვას. ასევე კარგი თამაშით გამოირჩნენ არგენტინელი გულიელმინპიეტრო, რომელიც „ინტერმა“ თანაქალაქელი „მილანისგან“ შეიძინა. გული ფლანგზე აქტიურობდა და პირველი გოლისას კალონი სწორედ მან მოამარაგა პასით.

დინო ძოფმა „ლაციო“ 3-5-2 განლაგებით ათამაშა. დამარცხებულთა შორის განსაკუთრებით გამოყოფენ ფიორესა და მენდიეტას — ნახევარდაცვის ცენტრალურ წყვილს. უკვე აშკარად შესამჩნევი ხდება, რომ ეს დუეტი ყოველ თამაშში უმატებს.

ტურნირის მეორე მატჩში „ლაციომ“ და „იუვენტუსმა“ ითამაშეს. დინო ძოფმა დაცვითი ტაქტიკა აირჩია და გაისკა მენდიეტა მალევე შეცვალა ჯანიკედათი. ამრიგად, მან გუნდი 4-4-2 სისტემაზე გადააწყო. გუნდებმა გოლების გატანა ვერ შეძლეს და მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. გამარჯვებული ბულიტებით გამოვლინდა — კარის ხაზიდან 30 მეტრში დადებული ბურთი 6 წამში უნდა მიგეტანა კარამდე და გოლი გაგეტანა. ეს კი მხოლოდ მარსელო სალასმა შეძლო და „ლაციომ“ 1:0 მოიგო.

ბოლო შეხვედრაში „ინტერი“ და „იუვენტუსი“ შეხვდნენ. გამოსარჩევია ის ფაქტი, რომ ტურინელთა რიგებში ითამაშა დოპინგის ხმარებაში მხილების გამო დისკვალიფიცირებულმა ედგარ დავიდსმა, რომელსაც ფიფამ არაოფიციალურ მატჩებში თამაშის უფლება ახლახან დართო.

თამაში ორმხრივ შეტევებში წარიმართა. ორივე გუნდის დებიუტანტი მეკარეებს — ფრანჩესკო ტოლდოსა და ჯანლუიჯი ბუფონს ბლომად სამუშაო ჰქონდათ. განსაკუთრებით გამოარჩევენ „ინტერის“ კარის დარაჯს, რომელმაც გუნდი სამი აშკარა გოლისგან იხსნა, მან ამოროზოს, ნედვედისა და ძამბროტას დარტყმები მოიგერია.

ჯანლუიჯი ბუფონს კი განსაკუთრებით ზეედორფი და ვიერი არ აძლევდნენ მოსვენებას. ისიც ყოჩაღად იცავდა კარს, მაგრამ 30-ე წუთზე ვიერის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა. იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად და რაც მთავარია, მოულოდნელად მოიქნია. ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე სწორედ ვიერი გახდა, რომელმაც შემდეგ განაცხადა: „ვოცნებობ, რომ რონალდოსთან ერთად იტალიის ჩემპიონობა მოვიპოვო. ის უდიდესი მოთამაშე და ჩემი ახლო მეგობარია. დიდი იმედი მაქვს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება“.

ბოლოს ექტორ რაულ კუპერის აზრს გაგაცნობთ. იგი სკუდეტოსთვის მთავარ კონკურენტად ტურინის „იუვენტუსს“ მიიჩნევს (მიუხედავად იმისა, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ტურნირში გოლიც ვერ გაიტანა).

აი, რა შეამჩნია არგენტინელმა მწვრთნელმა: „ძლიერი და ჩამოყალიბებული გუნდი ჩანს, სუსტი მხარე თითქმის ვერ შევნიშნე. ყველა მოთამაშემ იცის, რა უნდა აკეთოს მოედანზე. ჩემს გუნდს რაც შეეხება, სერია A-ს დაწყებამდე კიდევ უფრო შევთამაშდებით“.

**ნიკა შუბლაძე**

# ამხანაგური მატჩი

**ბეშიქთაში 2:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (17), 1:1 ზუბიერ ბაია (59), 2:1 ნიჰატი (90)

მილანი: აბიატი (როსი 46), კონტრა (პირლო 69), ლაურსენი (კოსტაკურტა 46), მალდინი (ბროკი 63), კოკო, გატუზო (დონადელი 67), დონატი (კალაძე 46), სერჟინიო, რუი კოშტა (მელვეგი 46), ინძაგი (ხავი მორენო 46), შევჩენკო

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

32 000 მაყურებელი

„მილანის“ თურქმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა წინა უქმეებზე გუნდი თავის სამშობლოში ჩაიყვანა და შაბათს „ბეშიქთაშს“ შეახვედრა. აღვნიშნოთ, რომ ამ მატჩის მთელი შემოსავალი ქველმოქმედებას მოხმარდა და ღარიბ თურქ ბავშვთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

უნდა ითქვას, რომ ეს გახლდათ ამ ორი კლუბის მესამე მატჩი ბოლო ორი წლის განმავლობაში. იმასაც შეგახსენებთ, რომ „მილანი“ და „ბეშიქთაში“ წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ.

გამოსარჩევი იყო ის ფაქტიც, რომ „მილანის“ რიგებში პირველად გამოჩნდა დანიელი ახალწვეული ლაურსენი, რომლის დებიუტიც წარმატებულად ჩაითვალა. მან ძლიერად ითამაშა პოზიციურად და ორთაბრძოლებშიც, განსაკუთრებით — საჰაეროში.

„მილანის“ სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშია კახა კალაძეს, იგი მხოლოდ მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე დონატის მაგივრად. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ როგორც „მილანის“ საინტერნეტო გვერდი იუწყება, კახა სასტარტოში სწორედ ლაურსენის გამო ვერ მოხვდა. თერიმმა ამჯობინა, მის პოზიციაზე დანიელი გამოეცადა და ქართველი სათადარიგოთა სკამზე დასვა. თავად ლაურსენი კი მეორე ტაიმში კოსტაკურტამ შეცვალა.

მილანელთა დაცვას ცუდად არ უთამაშია. განსაკუთრებით გამოყოფენ მეკარე აბიატისა და პაოლო მალდინის შეთანხმებულ მოქმედებას. აქტიურობდა რუი კოშტაც, რომელიც ინძაგისა და შევჩენკოს პასებით ამარაგებდა. ამ უკანასკნელმა მე-17 წუთზე თავისი პირველი წინასასეზონო გოლი გაიტანა.

„მილანმა“ პირველი ტაიმი და მეორის დასაწყისი კარგად ჩაატარა და მატჩის სადავეებს ფლობდა. მაგრამ შემდეგ რაღაც მოიშალა, რითაც თურქებმა ისარგებლეს. 59-ე წუთზე სტამბოლელთა ტუნისელმა ლეგიონერმა ზუბიერ ბაიამ ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა. აღნიშნავენ, რომ ამ მომენტში გამოცდილი კოსტაკურტა დაიბნა და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება მისცა. ბეშიქთაშელს ორიოდ წუთში კიდევ მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ ივარგა.

მატჩის მიწურულს უკვე ხავი მორენოს შეეძლო გატანა, მაგრამ კოკოს ზუსტი პასი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, შანსი ხელიდან არ გაუშვა ნიჰატმა, რომელმაც ჯარიმა ზუსტად დაურტყა შეცვლაზე შესულ სებასტიანო როსის.




„მილანის“ ერთადერთი გოლი ანდრეი შევჩენკოს იყო

# ამხანაგური მატჩები




ისტორია და რეალი

## მტრედი ხარ თუ მტერი ხარ?! იყო არაბეთს რეალი...

**ალ აჰლი 1:0 რეალი**

1:0 სანდი (50)

რეალი: სესარი, ჯერემი, იერო, კარანკა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, ფიგუ, ზიდანი, რაული, სოლარი

ახლახან „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი წინამორბედის კეთილსინდისიერებაში დაეჭვდა, ლორენსო სანსს შავი სალარო ჰქონდაო. ამ თემაზე ნელ-ნელა ალაპარაკდნენ და მალე, ალბათ, დასაბუთებულ კონკრეტულ ფაქტებს და ციფრებს მივიღებთ.

იქამდე კი სეზონისწინა სამზადისში მყოფმა „სამეფო გუნდმა“ პირველი მატჩი წააგო.

შაბათს კაიროში აფრიკის საუკუნის გუნდმა მსოფლიოს საუკუნის გუნდს აუტანელ სიცხეში მინიმალური ანგარიშით მოუგო. სიცხეო, ვთქვით, მაგრამ მადრიდელთა მარცხის ერთადერთ მიზეზად ამ ფაქტორის მიჩნევა სწორი არ უნდა იყოს.

ამბობენ, ვისენტე დელ ბოსკემ ვერა და ვერ გადაწყვიტა ძირითადი შემადგენლობის საკითხი, რაც ფეხბურთელებში გაურკვევლობას იწვევს, ეს კი თამაშის ხარისხზე მოქმედებსო. აქ უპირველესად მეკარისა და მარცხენა ნახევარმცველის კანდიდატებია უცნობი. „ლოზანასთან“ მადრიდელთა კარს სესარი იცავდა, ალიკანტეში „მონპელიესთან“ — იკერ კასილიასი. ახლა ეგვიპტელებთან დელ ბოსკე კვლავ სესარს ენდო.

უფრო რთულია ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის მეპატრონის ვინაობის გარკვევა. სავიო, გუტი თუ მაკმანამანი? ამათ შემთხვევაშიც მწვრთნელი ჩვეულ პრაქტიკას მიმართავს — რიგრიგობით ათამაშებს. „ლოზანასთან“ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა სავიომ, „ნიონთან“ — მაკმანამანმა, „მონპელიესთან“ — გუტიმ. „ალ აჰლის“ წინააღმდეგ დელ ბოსკე მეორე წრეზე წავიდა და სავიო ათამაშა.

„რეალის“ ცუდი თამაშის სხვა მიზეზებიც, უფრო სწორად, სხვაგვარი ახსნაც არსებობს. ეგვიპტურმა გაზეთმა „ალ აჰრამმა“ დაწერა, სტუმრები ზედმეტად ფრთხილად თამაშობდნენ, რადგან ტრავმებისა ეშინოდათო. მეორე ეგვიპტური გაზეთის, „იუმჰურიიას“ აზრით კი, „რეალის“ უძლეველობა მხოლოდ მითია და ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც წარმოუდგენიათ“.

„ალ აჰლიმ“ „რეალს“ ოდენ 1:0 მოუგო და მატჩის შემდეგ კაიროს ქუჩებში ნამდვილი სახალხო სეირნობა მოეწყო. იმავ „ალ აჰრამმა“ დაწერა, „პატარა ფარაონები“ (კლუბის მეტსახელია) სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი უძველესი ქვეყნის ისტორიაშიო.

ახლა წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, ეგვიპტელებს, ვთქვათ, 5:0 რომ მოეგოთ. არადა, „ალ აჰლის“ პორტუგალიელი მწვრთნელის, მანუელ ჟოზეს მტკიცებით, მის ბიჭებს არ გაუმართლათ, თორემ ხუთი გოლი მაინც უნდა გაეტანათ. ამათგან ერთხელ ალაა იბრაჰიმმა ძელს გაარტყა.

მადრიდელთაგან კი საუკეთესო რობერტო კარლოსი ყოფილა.

„რეალის“ თემა „სანტიაგო ბერნაბეუთი“ დავასრულოთ. ამ დიდებული სტადიონის მინდორს ბოლო დღეებია, მტრედები შესევიან და კორტნიან. ადმინისტრაციამ საზოგადოდ მშვიდობიან ფრინველებს ვერაფერი რომ მოუხერხა, ბაზიერი დაიქირავა, რომელიც სიტყვას იძლევა, ჩემი ოთხი შევარდენი მტრედებს უსწრაფესად ალაგმავს და „სანტიაგო ბერნაბეუს“ გზას დაავიწყებსო.

**გიორგი დარჯანია**

**სელტა 2:0 ლას პალმასი**

1:0 ედუ (65), 2:0 მორისი (83)

**ესპანიოლი 2:1 ფულემი**

1:0 ტამუდო (12), 2:0 ველამაზანი (29), 2:1 ჰეილსი (52)

**სევილია 1:1 (5:4პ) ბოლონია**

0:1 პაბლო ალვარო (26ს.კ.), 1:1 ტომასი (44)

**ბარსელონა 3:1 სპორტინგი**

1:0 ლუის ენრიკე (21), 2:0 ოვერმარსი (24), 2:1 ანდრე კრუზი (68), 3:1 ხერარდი (90)

**კოლუმბია 2:1 ლიბერია**

1:0 დიასი (5), 2:0 ბესერა (28), 2:1 დება (36)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ძალიან მაგარი ვარ!

## აბერამ მარათონი სპრინტით მოიგო

ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატი ლამაზად გაიხსნა. ცერემონიალს საქმის მცოდნეთა ხელი ეტყობოდა, ხოლო პირველ ამბად შეჯიბრთა განრიგში ვაჟების მარათონი ეწერა — ძალიან დიდი ინტრიგის მქონე დისციპლინა სახელიან მორბენალთა უმეტესობით.

პირობები უგვანი იყო. როცა 103 რჩეული მძლეოსანი სასტარტო ხაზზე განლაგდა, ცხელოდა, ღრუბლები სადღაც გამქრალიყვნენ და იმავდროულად ჰაერი ნესტიანი იყო. დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ კორდილიერების მისადგომებთან გაშენებული ედმონტონი ზღვის დონიდან ერთობ მაღლა მდებარეობს, რაც მარათონულ რბოლებში უარყოფით ფაქტორად ითვლება და კიდევ — სამარათონე ტრასაზე აღმართ-დაღმართები ძნელი საძებნი სულაც არ გახლდათ. მოკლედ, ანტიკური ტრადიციის მიმდევრებს დიდი გამოცდა ელოდათ. წინასწარ ვიტყვით, ბევრმა ვერ გაუძლო.

დაიწყო იმით, რომ ტრინიდადელმა რონი ოლასიმ სტარტიდან ცოტა ხანში მოუჩქარა და კარგა ხანს ეულად ირბინა. ცხადი იყო, ოლასის გარღვევა უფრო ტელეკამერების წინ მეტხანს ყოფნისთვის იყო გამიზნული, ვიდრე პირველ ადგილზე გასასვლელად და მოვლენების ლოგიკური განვითარების შედეგად საათში, 3 წუთსა და 30 წამში ჯგუფმა ოლასი შეყლაპა. ამ დროს კი წინ მეორე ვინმე, მაროკოელი აბდელკადერ ელ მუაზიზი გავარდნილიყო და ამჯერად კი მდევრებმა სიმშვიდე დაკარგეს — ლონდონის მარათონის წლევანდელი გამარჯვებულის ამგვარი გარღვევები უფრო მისი გამარჯვებით გვირგვინდება.

სულ მალე მთავარ ჯგუფს ელ მუაზიზის უშუალო მდევართა მცირე გუნდი გამოეყო. გასაკვირია, მაგრამ გუნდში არ ერია მსოფლიოს რეკორდსმენი, ამერიკის მოქალაქე ხალიდ ხანუჩი (ძირით მაროკოელი), რომელმაც ტემპს ვერ გაუძლო და ტრასა ბოლომდე არც ურბენია. ცოტა ხანში ზურგიდან მეორე გასაკვირი ამბავი მოვიდა, ამჯერად იმის შესახებ, რომ ლი ბონგ-იუ გაჩერდა. სამხრეთკორეელმა წლეულს ბოსტონის მარათონი მოიგო და პირდაპირ იწვოდა ედმონტონში კარგად სირბილის სურვილით, მაგრამ, ეტყობა, გადაიწვა. ხელები ჩამოყარა ერთხანს ლიდერმა ოლასიმაც (აბა, რა ეგონა, თავიდანვე დაოთხილი რომ გავარდა?), ამ დროს კი თავში ცვლილებები მწიფდებოდა.

ელ მუაზიზს ნელ-ნელა ეწეოდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი ეთიოპიიდან გეზაგნე აბერა და მისი თვისტომი ტესფაიე ტოლა, იტალიელი ევროპის ექსჩემპიონი სტეფანო ბალდინი, კენიელი სიმონ ბივოტი, იაპონელი შიგერუ აბურაია. აღმოჩნდა, რომ არაბის ტაქტიკა, შუაგზაზე წინ გავარდეს-ხოლმე, ეფექტურია ლონდონის ლარივით ქუჩებში და არა ოღროჩოღროებზე. ელ მუაზიზს აშკარად ძალამ უმტყუნა, ხუთმა მორბენალმა მას მალე გაუსწრო, რის შემდეგაც არაბს კონტრშეტევა აღარ უცდია, მე-6 ადგილს ჩაეჭიდა და დაინარჩუნა კიდეც. გასწრების სულისჩამდგმელნი კი აბერა და ბალდინი იყვნენ. შემდეგ აბურაიაც დანებდა. იგი ფინიშზე მე-5 იყო და არ დაუმალავს, მინიმუმ მედალს ველოდიო. „ვარჯიშზე ყველაფერი კარგად გამომდიოდა — თქვა იაპონელმა — ახლა კი გუნდი ვერ დამეხმარა და მე მარტო რას გავაწყობდი“. სხვა იაპონელებმა მართლაც უხეიროდ ირბინეს. მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა აზიის რეკორდსმენმა აცუში ფუჯიტამ, რომელმაც იაპონელ ჟურნალისტებს შემდეგ ამცნო, ტრავმირებულმა ვირბინეო.

თანამეგობრობის სტადიონის სიახლოვეს, ბოლო აღმართზე ჩამორჩნენ ჯერ ტოლა და მერე ბალდინი. ბურთი და მოედანი აბერასა და ბივოტს დარჩათ, ანუ ვინ იცის, მერამდენე აფრიკული დერბი: კენია — ეთიოპია. აბერას მეზობლები ეჯავრება, ბოსტონის მარათონზე უწესოდ მომექცნენ და წამაგებინესო (2000 წლის მარათონზე ვამბობთ), ამიტომ გულიანად გაავრძელა სირბილი და მალე ბივოტი უკან მოიტოვა.

აქ თითქოს წერტილის დასმაც შეიძლებოდა, მაგრამ რაც მოხდა, ბოლოში მოხდა. მე-40 კილომეტრზე ბივოტი ფეთიანივით გაქანდა და აბერას 2,5 წუთში გაუსწრო, მაგრამ მიჰქარეს მათ, ვინც იფიქრა, ახლა აბერა გასავათდა და უეჭველია, ბივოტი გაიმარჯვებსო. ცოტა ხანში ისინი ისევ წყვილად გარბოდნენ და წყვილადვე გამოჩნდნენ თანამეგობრობის სტადიონის სარბენ ბილიკებზე. როგორც შემდეგ აბერამ აფრიკული პირდაპირობით განაცხადა, მან უკვე იცოდა, რომ გაიმარჯვებდა, რადგან: „სპრინტში ძალიან მაგარი ვარ!“ მართლაც, ბოლო 200 მეტრი ეთიოპიელმა 30 წამში გაირბინა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, არც ბივოტი ჩამორჩა მაინცდამაინც, სულ ერთი წამის სარბენი დარჩენოდა, აბერა რომ ფინიშზე გადავიდა და ამ წამმა ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა — იგია გეზაგნე აბერა, 23 წლის სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი, მეორე ადამიანი და პირველი კაცი ისტორიაში, ვინც ოლიმპიადის შემდგომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ბარაქალა მას!

ხოლო წერილის ბოლოს მოკლედ გეტყვით, რომ ბირთვის კვრა ვაჟთაგან ამერიკელმა ჯონ გოდინამ მოიგო (ვინც ბადროსაც სანაქებოდ ტყორცნის), ქალთაგან — იანინა კოროლჩიკმა. ამ ცნობებში არაფერია გასაკვირი და არც იმაში, რომ 20 კილომეტრი ყველაზე სწრაფად რუსებმა გაიარეს. პოდიუმი სწორედ მათ შეავსეს.

„ეს დიდებულია — უთხრა ვიცეჩემპიონმა ილია მარკოვმა ჟურნალისტებს — სპორტული სიარულის საბჭოთა სკოლა კვლავ ცოცხლობს. მახსოვს ის ძველი, კეთილი ტრადიციები და მიხარია, რომ ისინი ისევ გრძელდება.“

ამ ნოსტალგიური პათეტიკით სავსე ფრაზების ავტორი 29 წლისაა და შაბათს მხოლოდ თვისტომ რომან რასკაზოვს ჩამორჩა. მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) ახალ რეგლამენტს შეეწირა მოსიარულეთა თითქმის მეოთხედი. ისინი „გარბენებისთვის“ გაყარეს ტრასიდან. ადრე ჯერ რამდენიმე გაფრთხილება კეთდებოდა, ახლა კი მსაჯს მოსიარულის დისკვალიფიკაცია ფინიშის სიახლოვეს გაუფრთხილებლადაც შეუძლია. მსოფლიოს ჩემპიონი რომან რასკაზოვი სიახლეს მხურვალედ მიესალმა. „ეს სპორტს მხოლოდ წინ წასწევს“ — თქვა მან და წინ მიიწევს ედმონტონის მსოფლიოს პირველობაც.

დავით გულუა




ეთიოპელები მარათონის მოგებას ზეიმობენ, გამარჯვების შემოქმედი გეზაგნე აბერა შუაში დგას

# რენტგენს ხომ არ შეხედავდით?

სახელოვანი კანადელი სპრინტერი დონოვან ბეილი გულნატკენია და აცხადებს, რომ მას სამშობლოში სათანადოდ არ აფასებენ. 100 მეტრზე რბენაში ატლანტის ოლიმპიური თამაშების მსოფლიოს რეკორდით მომგები თურმე ჟურნალისტებზეა განაწყენებული.

„თუ ოლიმპიადაზე მეხუთე შედეგს აჩვენებთ, მაშინ თქვენ გმირი ხართ კანადაში. თუ ისეთ რამეს გააკეთებთ, რაც 1968 წლის შემდეგ ვერავინ შეძლო, მაშინ გეტყვიან, რომ თქვენ გაგიმართლათ“ — დასევდიანებულია ბეილი.

კანადელი მძლეოსანი თურმე იმ ბრალდებებმა გაანაწყენა, რომლებიც მას ჩვენმა ჩრდილოამერიკელმა კოლეგებმა წაუყენეს. ეს უკანასკნელნი კი ბეილის იმაში ადანაშაულებენ, ასპარეზობებს თავი რომ აარიდოს, მიზეზად ყოველთვის ტრავმას იშველიებსო. წაგებასაც მასვე აბრალებს და ამის გამო წინასწარ თავიც დაიზღვია, ვინიცობაა ედმონტონში წარმატებას ვერ მიაღწიოს, სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადააო.

„ეტყობა, მე მათ რენტგენის სურათი უნდა ვაჩვენო და თან ექიმიც მოვიწვიო, რათა ეს სურათი ახსნას. მაგრამ დაკმაყოფილდებიან კი ამით?“ — კითხულობს ოლიმპიური ჩემპიონი.

ვაი, რომ არა. კანადელი სპრინტერი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ გარბენში მეექვსე აღმოჩნდა.

# სახელოვანი ცოლ-ქმრის უცნობი ისტორია

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელოვანი ცოლ-ქმარი მარიონ ჯონსი და სი ჯეი ჰანტერი ერთმანეთს ჰყვარობდნენ, სიდნეის ოლიმპიადაზე მოვლენები ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მარიონს უარყოფითი მუხტისგან იცავდა.

ისტორია კი ასე დაიწყო. სიდნეის ოლიმპიადამდე სი ჯეი აცხადებდა, რომ ამ უმთავრეს ღონისძიებაზე მონაწილეობას მუხლის ტრავმის გამო ვერ მიიღებდა. მერე კი ოლიმპიადაზეც ვიხილეთ, თუმცა სარბიელზე არ გასულა. მიზეზი ორგანიზმში აღმოჩენილი ნანდროლონი აღმოჩნდა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც მარიონი 100 მეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა. მანამდე კი ჰანტერს მძლეოსნობის მამებისთვის უთხოვია, დოპინგზე ჩემი გამოჭერის ამბავს ნუ გაამხელთ, თორემ ცოლი გამიჯავრდებაო.

„იგი გვემუდარებოდა, ტიროდა, რომ მის ცოლს ამის შესახებ ოლიმპიადამდე არაფერი შეეტყო. რას აღარ გვპირდებოდა, გვითხრა, რომ არ იასპარეზებდა და თავს დაანებებდა სპორტს. იგი ემოციებს ვერ ფარავდა, ძალიან გთხოვთ, მარიონს არაფერი გააგებინოთო“ — გვამცნობს მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციის (იააფ) გენერალური მდივანი იშტვან გიულაი.

და მაინც, რატომ გაახსენდათ ჰანტერის ხვეწნა-მუდარა ახლა? საქმე ისაა, რომ მაინცდამაინც ედმონტონის მსოფლიოს პირველობის დაწყებისთანავე დოპინგთან ბრძოლის ერთ-ერთმა დამოუკიდებელმა ორგანომ იააფ-ი დაადანაშაულა, აკრძალულ პრეპარატებზე ტესტირების პასუხებს შეგნებულად ჩქმალავთო. მათაც, არაფერსაც არ ვმალავთო და ჰანტერთან დადებული პირობის დეტალები გაახმაურეს.

მართალია, მაშინ სი ჯეიმ თავი იმართლა, შეგნებულად არ მიმიღია დოპინგიო, მაგრამ აშშ-ის მძლეოსნობის მოხელეებმა მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

მალე კი მერიონი და სი ჯეიც გაიყარნენ.




რომან რასკაზოვმა სპორტულ სიარულში რუსულ პოდიუმს უხელმძღვანელა

# საბოს ტლინკებმა რუსს ვერაფერი დააკლო

მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, რუმინელ გაბრიელა საბოს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. 5 ათას მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონის ულტიმატუმი, რუსი ოლგა ეგოროვა მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოეკვეთათ, უშედეგოდ დამთავრდა. რუმინელმა კი ტლინკები იმიტომ ყარა, რომ როგორც იგი აცხადებს, აკრძალული პრეპარატებით გაჭყეპილ რუს სპორტსმენთან პაექრობა არ სურს.

არადა, თავდაპირველად ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საბოს სურდა. ეგოროვას დოპინგთან ურთიერთობის ბრალდებით 1500 მეტრზე ასპარეზობა აუკრძალეს, 5 ათას მეტრზე კი მისი მონაწილეობის საკითხი სათუო გახდა. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ თურმე ეგოროვასთვის პარიზში არასწორად ჩაუტარებიათ ტესტირება. კერძოდ, როგორც რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი აცხადებს, ამგვარი ტესტირებისთვის აუცილებელი სისხლი ეგოროვასგან არც კი აუღიათ.

საერთოდ იმისათვის, რათა ორგანიზმში ეპოს კვალს მიაგნონ, საჭიროა სულ ცოტა ორჯერ ტესტირება — ერთხელ შარდზე, მეორედ სისხლზე.

ასეა თუ ისე, რუსი სპორტსმენი გაამართლეს. ახლა მას სტარტზე გასვლის უფლება აქვს. საინტერესო კი ისაა, მოინდომებს თუ არა რუმინელი საბო მასთან პაექრობას.

გიგა გურასაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დენვერ ნაგიტსი

დაარსდა 1967 წელს, ნბა-შია 1976 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
მუდმივი ნომერი: 2 (ალექს ინგლიში), 33 (დევიდ ტომპსონი), 40 (ბაირონ ბექი), 42 (დან აისელი)
დარბაზი: პეპსი სენთერი, ტევადობა 19099

# ყალბი ოქრო

„ДЕНВЕР НАГИТСИ" — 

„დენვერ ნაგიტსი" მრავალტანჯული გუნდია. კოლორადოელები მაშინაც კი იტანჯებოდნენ, როცა მძლავრი შემადგენლობა ჰყავდათ, ნბა-ს რეკორდებს ამხობდნენ და ჩემპიონობას ეპოტინებოდნენ. დენვერელ „ოქროს ზოდებს" საჩემპიონო ოქროსთვის ბრძოლა ბოლომდე ვერასოდეს მიჰყავდათ, პლეი ოფის სადღაც შუაში იჩხირებოდნენ. არადა, იყო დრო, როცა „ნაგიტსს" შეეძლო, საკუთარი სახელი ნამდვილი ოქროთი განედიდებინა.

კლუბის ისტორია შეგვიძლია სამ ეტაპად დავყოთ — 80-იანი წლები, 90-იანები და ნბა-ს გარეთ გატარებული დრო. „დენვერი" 1967 წელს დაარსდა, ნბა-ში კი 1976 წლიდანაა. ცხადია, კოლორადოელებს ცხრა წელი იმის მოლოდინში არ გაუტარებიათ, როდის შეუშვებდა ნბა მათ თავის ოჯახში. ისინი 1967-76 წლებში სხვა ლიგაში, კერძოდ, აბა-ში თამაშობდნენ და არცთუ ურიგოდ. აბა რომელიმე ქვედა ლიგა არ გეგონოთ, რომლის მატჩებზეც ერთი მუჭა უსაქმური დადის და რომლის საუკეთესო მოთამაშე ნბა-ს უსუსტესი გუნდის ხუთეულშიც ვერ მოხვდება. ეს ლიგა 70-იან წლებში თუ არ აღემატებოდა, არც ჩამორჩებოდა ნბა-ს და მისი დიდი თავსატკივარიც გახლდათ. საკმარისია დავასახელოთ კალათბურთელები, რომლებიც აბა-ში ირჯებოდნენ: ჯულიუს ირვინგი, მოზეს მელოუნი, ჯორჯ გერვინი... ლიგა, რომელშიც ასეთი ხალხი თამაშობდა, არ შეიძლება ცუდი ყოფილიყო. აბა ათეული წლის განმავლობაში ღირსეულ კონკურენციას უწევდა ნბა-ს, შემდეგ კი მაინც დაიშალა. ამის მიზეზი წმინდა ეკონომიკურია და არა სპორტული. ქვეყნის უდიდესი ქალაქის გუნდები ნბა-ში თამაშობდნენ. აბას გუნდები მათ სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად მომცრო ქალაქების ბინადარნი იყვნენ და ბუნებრივია, მათი შემოსავალი კონკურენტთა ფინანსურ მონაგარს ვერ შეედრებოდა.

„დენვერი" აბა-ში მუდმივად ანგარიშსაწევი ძალა იყო. ბოლო წლებში კი ჩემპიონობასაც დაუმიზნა. მაშინ „ნაგიტსს" დღევანდელი „ფილადელფიას" თავკაცი და ამ სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ლარი ბრაუნი ხელმძღვანელობდა. კოლორადოელებისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა აბა-ში გატარებული ბოლო, 1975-76 წლების სეზონი. მაშინ ბრაუნი სეზონში საუკეთესოდ აღიარეს კოლეგათა შორის. 84-მატჩიანი რეგულარული სეზონი „ნაგიტსმა" 60 გამარჯვებით დაასრულა და ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტადაც შეირაცხა. ბრაუნმა და მისმა შეგირდებმა, დევიდ ტომპსონმა და დან აისელმა (მეტსახელად „ცხენი"), „ზოდები" აბა-ს ფინალში გაიყვანეს და იქ დოქტორ ჯეის — ჯულიუს ირვინგის „ნიუ იორკ ნეთსს" შეერკინნენ. ორი მფრინავი სასწაულმოქმედის — ირვინგის და ტომპსონის დუელში გამარჯვება პირველს დარჩა. შემდეგ მათი ჭიდილი ნბა-ში გაგრძელდა.

ძნელია, ტომპსონი ირვინგს შევადაროთ, თუნდაც იმიტომ, რომ მას კარიერაში არაფერი მოუგია. მაგრამ უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნოთ, რომ ტომპსონი მათ შორის იყო, ვინც აბადან ნბა-ში სანახაობრივი თამაშის ელემენტები შეიტანა, რითაც ასე მდიდარია თანამედროვე ამერიკული კალათბურთი. ჩატენვების მრავალფეროვან არსენალთან ერთად 193-სანტიმეტრიანი ტომპსონი შორი მანძილიდან შესაშურად ზუსტადაც ისროდა და მეტოქეთათვის დიდ თავსატეხს წარმოადგენდა.

ტომპსონისთვის ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა 1978-79 წლების სეზონი. იგი ბომბარდირთა დავაში სანანტონიოელ ჯორჯ გერვინს ებრძოდა. მისთვის ბომბარდირის ტიტულის წასართმევად ტომპსონმა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო თამაშში 73 ქულა ჩააგდო. რომ არა უილტ ჩემბერლენი და მისი ლეგენდად ქცეული ასქულიანი თამაში, დღეს ტომპსონის იქნებოდა ერთ შეხვედრაში მოპოვებული ქულების რეკორდი. ტომპსონი მაინც ვერ შესწვდა ბომბარდირობას. უქმად არც გერვინი მდგარა, მან ბოლო თამაშში 63 ქულა მიითვალა, სეზონში მატჩში საშუალოდ 27,22 ქულა მოუგროვდა და 0,07 ქულით აჯობა ტომპსონს.

საერთოდ, მაშინდელ „დენვერს" ქულების დაგროვებაში ბადალი არ მოეძებნებოდა. 1980 წელს ტომპსონს და აისელს შეუერთდა იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი მექულე ალექს ინგლიში. იგი ტომპსონზე გაცილებით კაშკაშა ვარსკვლავი იყო. ინგლიშმა 11 სეზონი ითამაშა „დენვერში" და თუ ბოლო სეზონს არ ჩავთვლით, არასდროს ჩამოსცილებია მატჩში საშუალოდ 23,8 ქულას. 1983 წელს მას დარჩა ლიგის პირველი ბომბარდირის წოდება, მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 28,3 ქულის წყალობით. ის, როგორც ტომპსონი, სანახაობრივ თამაშს ეტრფოდა, ზედიზედ რვა „ოლ სტარშიც" ითამაშა და საერთოდ, შორს გაუვარდებოდა სახელი ირვინგის თაობის კალათბურთელი რომ არ ყოფილიყო და მის ჩრდილში არ მოქცეულიყო.

1981 წელს „ნაგიტსმა" კიდევ ერთი მძლავრი მექულე, კიკი ვანდევეი შეიმატა და მეტოქის ნახევარზე შეუჩერებელი გახდა. იმ სეზონში კოლორადოელები ყველა თამაშში ასცდნენ ასქულიან ზღვარს და სეზონის ბოლოს გუნდს მატჩში საშუალოდ 126,5 ქულა მოუგროვდა, რაც ნბა-ს ყველა დროის რეკორდია. რაც შეეხება წარმატებებს, ისინი მეტოქის ნახევარზე კარგად აწყობილ საქმეს არ მოუტანია, რადგან რამდენადაც კარგი იყო „დენვერი" შეტევაში, იმდენად საცოდავად გამოიყურებოდა დაცვაში. ამას იმავე სეზონში მატჩში საშუალოდ საკუთარ კალათში მიღებული 126,0 ქულაც მოწმობს, ეს კი ლიგის ყველა დროის ანტირეკორდია. აღსანიშნავია, რომ „დენვერს" მონაწილეობა მიუღია ნბა-ს ყველაზე უხვქულიან მატჩში. 1983 წლის 13 დეკემბერს „ნაგიტსმა" სამმაგ ოვერტაიმში 184:186 წააგო „დეტროიტ პისტონზთან". მაშინდელი გუნდის და საერთოდ, „დენვერის" მწვერვალი ნბა-ში გახლავთ 1985 წელი, როდესაც „ნაგიტსი" დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა და იქ მომავალ ჩემპიონთან, მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსთან" 1:4 დამარცხდა. ინგლიშის და აისელის წინამძღოლობით „დენვერი" კიდევ ხუთი წელი ირიცხებოდა საშუალოებში, შემდეგ კი ძველებმა ახლებს დაუთმეს გზა და „ოქროს ზოდების" ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო.

90-იანელები სრულიად განსხვავდებოდნენ წინა თაობისგან. 1991 წელს „დენვერმა" დრაფტში აიყვანა 218-სანტიმეტრიანი ცენტრი დიკემბე მფოლონდო ვაკამბა, ჟან ჟაკ ვამუტომბო მუტომბო, ანუ უბრალოდ დიკემბე მუტომბო ზაირელი (დღეს ამ ქვეყანას კონგო ჰქვია) ახმახი კაცი, რომელიც ოთხ ევროპულ ენაზე და ხუთ აფრიკულ დიალექტზე მეტყველებს. მუტომბოს შეტევაში ბევრი არაფერი გაეგებოდა, სამაგიეროდ, დაცვაში ბადალი არ ჰყავდა და ახალი გუნდის შენებაც მის გარშემო დაიწყო. მუტომბომდე ერთი წლით ადრე „დენვერმა" შეიმატა უკანახაზელი კრის ჯექსონი, შემდგომ გამუსლიმანებული და მაჰმუდ აბდულ-რაუფად წოდებული, ერთი წლის შემდეგ კი ლაფონსო ელისიც ჩარიცხა თავის რიგებში. სწორედ ამ ხალხით სცადა გუნდმა საშუალოთა მარაქაში გარევა. 1994 წელს, ოთხწლიანი ლოდინის შემდეგ, „ზოდები" პლეი ოფში გავიდნენ, თუმც ბოლო, მერვე ნომრად განითესნენ და რეგულარული სეზონის მომგებ „სიეტლს" ერგნენ. მერვე ნომრად განთესილ გუნდს მანამდე საპლეიოფო სერია არასდროს მოეგო და „დენვერსაც" ყველა განწირულად თვლიდა, მაგრამ მუტომბოს რაზმმა სასწაული მოახდინა — 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ სამი მატჩი მოუგო დაარხეინებულ „სიეტლს" და პლეი ოფიდან გამოაპანღურა. თითქმის იგივე განმეორდა მეორე წრეშიც, „დენვერი" 0:3 აგებდა კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის „იუტასთან", მერე კი კვლავ ზედიზედ სამჯერ იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. ყველა ელოდა მორიგ სასწაულს, მაგრამ ამაოდ — მეშვიდე თამაში „იუტამ" 91:81 მოიგო. „დენვერი ერთი წლის შემდეგაც გავიდა პლეი ოფში, თუმც იქ პირველივე წრეში 0:3 წააგო „სან ანტონიოსთან" და ჯერჯერობით საბოლოოდ დაემშვიდობა პლეი ოფს.



დევიდ ტომპსონმა ჩემბერლენის გარდა ყველას აჯობა

1996 წელს მუტომბო „ატლანტაში" გადავიდა და „ნაგიტსს" გაუჭირდა. 1997-98 წლების სეზონში „დენვერმა" ოდენ 11 თამაში მოიგო და ბოლო ადგილი დაიკავა. დღეს „ოქროს ზოდებმა" ოდნავ გამოასწორეს მდგომარეობა. „ნაგიტსს" მწვრთნელად „ცხენად" წოდებული დან აისელი ჰყავს, ლიდერად — სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ანტონიო მაკდაიერი და მათი ძალისხმევით ცდილობს, ჯერ პლეი ოფს დაუბრუნდეს, მერე კი ვინ იცის... აი, ჩემპიონობა კი აქედან ძალიან შორია. არავინ იცის, როდის იხილავენ „ოქროს ზოდები" ნამდვილ ოქროს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# გამარჯობა, სახლ-კარო!



ტაირონ ჰილი

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

3-5 აგვისტო

ბოსტონ სელტიქსი: გაუცვალა ფორვარდი ჯერომ მოისო „ფილადელფიას" ფორვარდ როშონ მაკლეოდში და მომავალი დრაფტის პირველ წრეში არჩევის უფლებაში.
მაიამი ჰითი: აიყვანა უკანახაზელი ქენდალ გილი (ნიუ ჯერსიდან)
ფილადელფია 76: გაუცვალა ფორვარდი ტაირონ ჰილი და ფორვარდი ჯუმანი ჯონსი „კლივლენდს" ფორვარდ სედრიკ ჰენდერსონში, ფორვარდ მეტ ჰარპრინგსა და ცენტრ რობერტ ტრეილორში.
სან ანტონიო სფურზი: აიყვანა ფორვარდ-ცენტრი ჩეროკი პარქსი (კლიპერსიდან), აიყვანა ცენტრი ამალ მაკკასკილი.
ვაშინგტონ ვიზარდსი: დაიტოვა დრაფტში აყვანილი ცენტრი ბრენდან ჰეივუდი.

სერიოზული ძვრებია „ფილადელფია სიქსერზში" — ვიცე-ჩემპიონებს გამოაკლდათ გუნდის ბირთვის წევრი, თავდამსხმელი ტაირონ ჰილი. ამ უქმეებზე „ფილადელფიამ" და „კლივლენდმა" ხუთკაციანი გაცვლა გაჩარხეს, შედეგად ჰილი და ყმაწვილი სათადარიგო ჯუმანი ჯონსი „კლივლენდში" გადაბარგდნენ, ხოლო „სიქსერზმა" მათ სანაცვლოდ სამი საშუალო დონის მოთამაშე — სედრიკ ჰენდერსონი, მეტ ჰარპრინგი და რობერტ ტრეილორი მიიღო. რადგან ამ ხუთი მოთამაშიდან არც ერთი გახლდათ თავისუფალი აგენტი, ყველა მათგანს ძველი კლუბის კონტრაქტის პირობებს ახალი კლუბი შეუსრულებს. ჰილს „ფილადელფიასთან" ძველი ხელშეკრულებით კიდევ ორი წელი ჰქონდა დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში კლუბისგან 13 მილიონს ელოდა. გაცვლისას გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჰილი ზუსტად ამდენივე ხნით უერთგულებს ახალ გუნდს და გასამრჯელოსაც არც ერთი ცენტით მეტს ან ნაკლებს მიიღებს.

„ფილადელფიამ" სიტყვა გატეხა. გასული სეზონის ფინალში „ლეიკერსთან" დამარცხების შემდეგ გუნდის ლიდერებმა თქვეს, ჩვენი ნებით არსად არ წავალთ, ერთად დავრჩებით, რათა მომავალ სეზონში ფინალში დავბრუნდეთ და დაწყებული საქმე დავასრულოთო. ხელმძღვანელობამაც კვერი დაუკრა მათ, არც ერთს (ცხადია, ლიდერებს) არ გაგიშვებთ, რადგან თქვენით უზომოდ კმაყოფილები ვართო. და აი, ჯერ სეზონიც არ დაწყებულა და „სიქსერზის" მამებმა პირობა დაარღვიეს, გაცვალეს ძირითადი თავდამსხმელი და დიკემბე მუტომბოს შემდეგ გუნდის მეორე მეფარე ტაირონ ჰილი. ამ ნაბიჯით „სიქსერზმა", მართალია, მნიშვნელოვნად გააძლიერა ფინალისტი გუნდისთვის საკმაოდ სუსტი სათადარიგოთა სკამი, მაგრამ ქომაგები მაინც უკმაყოფილოდ დატოვა. თავად ჰილს თავისი რეაქცია არ გამოუხატავს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, მას გახარებოდა საჩემპიონო ამბიციის მქონე გუნდიდან პლეი ოფში მოსახვედრად მებრძოლ „კლივლენდში" გადაბარგება.

ოკეანგალმა ჰილს პროფესიონალად იცნობენ და ამ მხრივ მისთვის სულერთია, სად ითამაშებს, იგი ახალი გუნდისთვისაც ისეთივე გულმოდგინებით დაღვრის ოფლს, როგორც ძველისთვის. ამასთან, იგი უბრუნდება გუნდს, სადაც თავისი კარიერის ოთხი წელი გაატარა და იქიდან არც წავიდოდა, 1997 წელს ისევე რომ არ მოქცეოდნენ, როგორც „ფილადელფიაში".

„კლივლენდში" კი უხარიათ, ჰილოსთანა ხალხს ნბა-ში ადვილად ვერ იპოვით. „კავალერიის" ახალწვეული გამოცდილი და პლეი ოფების ომგამოვლილი ვეტერანია. ასეთები კი დიახაც სჭირდება „კლივლენდს", მით უმეტეს, რომ ორიოდ კვირის წინ „ნიუ იორკში" გადავიდა ძირითადი თავდამსხმელი კლარენს ვეზერსპუნი. 206-სანტიმეტრიანი ჰილი შეძლებისდაგვარად შეავსებს იმ დანაკლისს ფარქვეშ, რომელსაც ლიტველი ცენტრი ჟიდრუნას ილგაუსკასი, უფრო ზუსტად კი, ამ 221-სანტიმეტრიანი ჯეელის ტრავმები ქმნის. ილგაუსკასი ხუთი წელია, ნბა-შია და აქედან მინიმუმ სამნახევარი (!) სეზონი ტრავმებს იშუშებდა. ახლაც ნაოპერაციევი ტერფის რეაბილიტაციას გადის. ამასთან, ჰილის შემყურე შარშანდელი და წლევანდელი ახალბედები — კრის მიმი და დესაგანა დიოპი ისწავლიან, თუ როგორ უნდა ითამაშონ ნბა-ში.

იმლება ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდის, „ნიუ ჯერსის" ბირთვიც. ხუთშაბათს „სან ანტონიოში" გადასულ ძირითად ფრთა სტივენ ჯექსონს ძირითადი მსროლელი ქენდალ გილიც მიჰყვა. ეს უკანასკნელი აჰყვა ცდუნებას და უხეირო „ნიუ ჯერსიდან" ლონიერ „მაიამიში" გადაბარგდა.

**ივანე კოზიაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | 12 აგვისტო | | | |
| 20.30 | 009 | ზანქტ პაული-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). გადადებული მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აგვისტო | | | |
| 22.30 | 020 | მიუნსტერი-ფერლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 1-ლი ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | |
| 19.00 | 038 | ბრედფორდი-ბარნსლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | გრიმსბი-ქრიუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | მილუოლი-ნორვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 042 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 043 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ქოვენთრი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | უიმბლდონი-ბირმინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.15 | 048 | სიტი-უოტფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | 12 აგვისტო | | | |
| 22.15 | 049 | უენსდი-ბარნლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 1-ლი ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | |
| 19.00 | 050 | ბლეკპული-რედინგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 051 | კემბრიჯი-ბრაიტონი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 052 | კარდიფი-უიკომბი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 054 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 055 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 056 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | ქუინზ პარკი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 058 | სუინდონი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 059 | ტრანმერი-ბერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 060 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 061 | რექსემი-ოლდემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 1-ლი ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | |
| 19.00 | 062 | როვერსი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 063 | კარლაილი-ლუტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 065 | ექსეტერი-ჰალი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 066 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 068 | ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 069 | მაკლსფილდი-სუონსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 070 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 071 | პლიმუთი-შრიუსბერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-დარლინგტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 073 | იორკი-რაშდენი | 2,0 | 3,3 | 3,2 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | |
| 20.15 | 074 | რენი-მონაკო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 075 | ტრუა-ნანტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 076 | სედანი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 077 | პსჟ-სოშო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მონპელიე-მეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 079 | ლანსი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 080 | ბორდო-ლილი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| | | 12 აგვისტო | | | |
| 21.00 | 081 | ლორიანი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 082 | ბასტია-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 აგვისტო | | | |
| 01.00 | 092 | ბოავიშტა-ბეირა მარი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 093 | ბოავიშტა-ბეირა მარი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | 11 აგვისტო | | | |
| 22.30 | 094 | ბრაგა-ლეირია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 01.00 | 095 | ვარზიმი-ბენფიკა | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| | | 12 აგვისტო | | | |
| 20.00 | 096 | სალგეირუში-ფარენსე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 097 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 098 | სპორტინგი-პორტუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.00 | 099 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | 13 აგვისტო | | | |
| 01.00 | 100 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**ჩეხეთი. მე-3 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 აგვისტო | | | |
| 19.30 | 121 | სპარტა-ლიბერეცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 122 | სპარტა-ლიბერეცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | 11 აგვისტო | | | |
| 21.30 | 123 | სლავია-ჰრადეც კრალოვე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 124 | სლავია-ჰრადეც კრალოვე 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |
| | | 12 აგვისტო | | | |
| 19.30 | 125 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 126 | ტეპლიცე-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 127 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 128 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 129 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 130 | ბლშანი-ოპავა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**შვედეთი. მე-17 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აგვისტო | | | |
| 22.00 | 204 | ჰეკენი-გიოტებორგი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 22.00 | 205 | ჰამარბი-იურგორდენი | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**ფინეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აგვისტო | | | |
| 20.30 | 219 | როვანიემი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 2,9 |

**ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აგვისტო | | | |
| 18.00 | 225 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**ჰოლანდია. სუპერთასი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აგვისტო | | | |
| 17.30 | 242 | პსვ-ტვენტე | 1,5 | 3,8 | 5,3 |

**ჰოლანდია. თასის I ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აგვისტო | | | |
| 17.30 | 243 | გრააფსხაპი-ჰერაკლესი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 17.30 | 244 | ზვოლე-ემენი | 1,55 | 3,6 | 5,0 |

**პოლონეთი. ლიგის თასის III ეტაპი. I მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აგვისტო | | | |
| 19.00 | 249 | ოდრა-ვიძევი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 250 | სტომილი-გროცლინი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აგვისტო | | | |
| 23.30 | 251 | ბერუიკი-ილჯინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 252 | ბრეჩინი-სტირლინგი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| 23.30 | 253 | კოუდენბითი-როსი | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| 23.30 | 254 | ისტ ფაიფი-რეითი | 4,7 | 3,6 | 1,55 |
| 23.30 | 255 | ისტ სტირლინგი-ალოა | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 23.30 | 256 | ფალკირკი-არბროა | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.30 | 257 | ინვერნესი-ფორფარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 258 | მორტონი-კლაიდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.30 | 259 | პიტერჰედი-ჰამილტონი | 4,0 | 3,4 | 1,7 |
| 23.30 | 260 | სენტ მირენი-ეირი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.30 | 261 | სტენჰაუზმური-სტრანრარი | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 23.45 | 262 | ეირდრი-ქუინი | 1,5 | 3,8 | 4,4 |
| 23.45 | 263 | ალბიონი-მონროუსი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| 23.45 | 264 | პარტიკი-ქუინზ პარკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. I მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აგვისტო | | | |
| 21.00 | 501 | ლოკომოტივი (მ)-ტიროლი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 502 | შახტარი-დორტმუნდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 8 აგვისტო | | | |
| 21.00 | 503 | ვისლა-ბარსელონა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 21.15 | 504 | კოპენჰაგენი-ლაციო | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.00 | 505 | ჰაკა-ლივერპული | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 22.00 | 506 | ინტერი (სლკ.)-რუსენბორგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 507 | ჰალმსტადი-ანდერლეხტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.45 | 508 | გალათასარაი-ლევსკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 509 | სლავია-პანათინაიკოსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 510 | სტიაუა-ლევსკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.15 | 511 | ჰაიდუკი-მალიორკა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 512 | აიაქსი-ლევსკი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.30 | 513 | ცრვენა ზვეზდა-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 514 | რეინჯერსი-ფენერბაჰჩე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 515 | პარმა-ლილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 01.00 | 516 | პორტუ-გრასჰოპერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აგვისტო | | | |
| 19.00 | 517 | ნეფტჩი-გორიცა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.30 | 518 | პუხოვი-სლიმა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 19.30 | 519 | რუზომბეროკი-ბელშინა | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 520 | პოლონია-ტნს | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 521 | დინამო (თბ)-ბატე | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.00 | 522 | დინამო (ბუქ)-დინამო (ტირ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 523 | ცსკა (კიევი)-იოკერიტი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 524 | ბრაშოვი-აშტარაკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 525 | არარატი-ჰაპოელი (თ-ა) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 526 | თბილისი-გოტუ | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 20.30 | 527 | პელისტერი-სენტ გალენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 528 | დინაბურგი-ოსიეკი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 529 | ტრანს ნარვა-ელფსბორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 530 | შახტიორი(ბელარ)-ცსკა(სოფ) | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 531 | ტირანა-აპოლონი (კვიპ) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 532 | ჰიკ-ვენტსპილსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 533 | ატლანტასი-რაპიდი (ბუქ) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 21.30 | 534 | მიდტიულანდი-გლენტორანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 535 | ვიკინგი-ბროტნიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 536 | ოლიმპიაკოსი(კვიპ)-დუნაფერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 537 | მიუპა-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 538 | მაკაბი(თ-ა)-ქალგირისი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 539 | ეტელბრიუკი-ლეგია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 22.30 | 540 | ბირკირკარა-ლოკომოტივი(თბ) | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.30 | 541 | ვადუცი-ვარტექსი | 5,0 | 3,8 | 1,4 |
| 22.30 | 542 | ტორსჰაგენი-გრაცერი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 22.30 | 543 | ზიმბრუ-გაზიანთეფი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.15 | 544 | ბრიუგე-აკრანესი | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 23.15 | 545 | ვარდარი-სტანდარდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.15 | 546 | ოლიმპია-შაფა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.15 | 547 | დინამო (ზაგ)-ფლორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 548 | დებრეცენი-ნისტრუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.30 | 549 | აეკ-გრევენმახერი | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.30 | 550 | ბრიონდბიუ-შელბურნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 551 | კოსმოსი-რაპიდი (ვენა) | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 23.30 | 552 | ლონგფორდი-ლიტექსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.30 | 553 | სტ.კოლომა-პარტიზანი (იუგ) | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 23.45 | 554 | გლენავონი-კილმარნოკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 24.00 | 555 | ფილკირი-პოგონი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 24.00 | 556 | ქუიმბრანი-სლოვანი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 01.00 | 557 | მარიტიმუ-სარაევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**ინტერტოტო. ფინალი. I მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აგვისტო | | | |
| 22.30 | 558 | ბაზელი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 559 | ტრუა-ნიუკასლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.30 | 560 | პსჟ-ბრეშა | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**კოპა მერკოსური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 აგვისტო | | | |
| 05.00 | 561 | სერო პორტენიო-უნ.კატოლიკა | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | 8 აგვისტო | | | |
| 05.10 | 562 | სან ლორენსო-ნასიონალი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**კოპა მერკონორტე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აგვისტო | | | |
| 02.00 | 563 | ლაგუნა-ვიზარდსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 05.00 | 564 | მეტროსტარსი-იტალჩაკაო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 9 აგვისტო | | | |
| 05.00 | 565 | ატ.ნასიონალი-უნივერსიტარიო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 07.10 | 566 | გვადალახარა-მილიონარიოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ტურში გატანილი გოლები**

11 აგვისტო

18.30 701 გერმანია (მე-3)
24 და ნაკლები - 1,9; 26 და მეტი - 1,9

11 აგვისტო

20.15 702 საფრანგეთი (მე-3) 22 და ნაკლები - 1,9;
24 და მეტი - 1,9

10 აგვისტო

01.00 703 პორტუგალია (1-ლი) 22 და ნაკლები - 1,9;
24 და მეტი - 1,9

11 აგვისტო

23.00 704 ბელგია (1-ლი) 26 და ნაკლები - 1,9;
28 და მეტი - 1,9

10 აგვისტო

19.30 705 ჩეხეთი (მე-3)
19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

10 აგვისტო

20.00 706 პოლონეთი (მე-4) 19 და ნაკლები - 1,9;
21 და მეტი - 1,9

10 აგვისტო

22.00 707 თურქეთი (1-ლი) 23 და ნაკლები - 1,9;
25 და მეტი - 1,9

11 აგვისტო

16.00 708 რუსეთი (21-ე) 18 და ნაკლები - 1,9;
20 და მეტი - 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**გურჯაანში**

გაიხსნა კროკოს
ახალი ბიურო. მისამართი:
დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც მუშაობს.
დასვენების დღე მხოლოდ
ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია:
სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი,
შაბათი, კვირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული
ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

**!**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



ნუგზარ [illegible] ფოტო

# სარაგბო ამბები ურაგბო აგვისტოში

*დასრულდა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. საზაფხულო არდადეგები გამოცხადდა რაგბის კავშირში. სიწყნარეა ვარკეთილის მოედანზე, იქ სადაც გავანია ზაფხულში მორაგბეები ღვრიდნენ ოფლს.*

*კლუბები ახლა ისვენებენ და ემზადებიან მეორე ეტაპისთვის, რომელიც კალენდრით 2 სექტემბერს დაიწყება.*

განსხვავებული მიზნებისთვის მოუწევთ ბრძოლა უმაღლესი ლიგის გუნდებს. ოთხი საუკეთესო — ბათუმის „დათვები", თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „ყოჩები" და ქუთაისის „აია" ბზის თასისთვის აგრძელებს ასპარეზობას. ორი უიღბლო, თბილისის „უნივერსიტეტი" და ასკ ქართულ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად პირველი ლიგის ორ მოწინავესთან ერთად ოთხგუნდიან ჯგუფს შექმნის და ორ წრედ გაითამაშებს მეხუთე-მერვე ადგილებს. ჯგუფის პირველ-მეორე ადგილოსნები გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ, მესამე-მეოთხეზე გასულები კი პირველ ლიგაში ამოყოფენ თავს. გუნდები ამ ტურნირს ნული ქულით იწყებენ. უნივერსიტეტს და ასკ-ს კი უმაღლესი ლიგის საგზურს თბილისის „აკადემია" და ბათუმის „დათვები-2" შეეცილებიან.

უმაღლესი ლიგის საუკეთესო ოთხეულისთვის მეორე ეტაპზე ორწრიანი ტურნირი მოეწყობა. გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ყველა ქულა გადაჰყვებათ. ორწრიანი ტურნირის შემდეგ ოთხეულის მონაწილეობით გაიმართება სამწრიანი პლეი-ოფი ბზის თასის მოსაპოვებლად. პლეი ოფის პირველი წრის შესარჩევ ფინალში ერთმანეთს პირველი და მეორე ადგილოსნები ხვდებიან. მოგებული დიდ ფინალში გადის, წაგებული — წინასწარ ფინალში. მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულთა დავაში დამარცხებული გათამაშებას ეთიშება და ავტომატურად იკავებს მეოთხე ადგილს, გამარჯვებული კი წინასწარ ფინალში შესარჩევ ფინალში ძლეულ გუნდს ეთამაშება. ამათგან უძლიერესი დიდ ფინალში მოხვდება და იქ შესარჩევ ფინალში საუკეთესოს ბზის თასისთვის შეებრძოლება. წინასწარ ფინალში დამარცხებული კი მესამე ადგილზე გადის.

რაც შეეხება მეორე ეტაპის გათ[illegible]კის სისტემას, ახლა კი პირველი ეტაპის ავ-კარგზე და გუნდების თამაშზეც ვთქვათ.

არავისთვისაა ახალი, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე აშკარად დაეცა. ამას მორაგბეთა მასობრივმა მიგრაციამ შეუწყო ხელი. რა თქმა უნდა, ეს სასიკეთოდ იმოქმედებს ეროვნულ ნაკრებზე. საფრანგეთში, სადაც ქართველთა ნავსაყუდელია, იდეალური პირობებია იმისთვის, რათა მორაგბედ ჩამოყალიბდე. მაგრამ, მეორე მხრივ, ლეგიონერთა მომრავლება უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ჩემპიონატზე და გარკვეულწილად ალარიბებს მას. ახლაც ოთხი ათეული მოთამაშე აპირებს კარიერის საფრანგეთში გაგრძელებას და იქაურ კლუბებში მოწყობას.

გარდა ამისა, ვერა და ვერ მოგვარდა მსაჯების საკითხი. ეს ხომ შინაური რაგბის აქილევსის ქუსლია. მსაჯობა ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემად იქცა, ჯერ მარტო იმის გამო, რომ არბიტრები ძალიან ცოტანი არიან. მერე იმიტომ, რომ თითქმის არ ყოფილა მატჩი, რომლის შემდეგაც მსაჯის კმაყოფილნი ყოფილიყვნენ. ჩემპიონატის მთელმა სიმძიმემ ერთ არბიტრზე, ნოდარ რობიტაშვილზე გადაიარა. მართალია, არიან სხვებიც, მაგალითად, მიხეილ ჩაჩუა, რომელიც სულ ახლო წარსულში მოქმედი მორაგბე იყო, გუგა ბაბუნაშვილი და გია ჯავახიშვილი, მაგრამ ძირითადად სწორედ ნოდარ რობიტაშვილი იყო დატვირთული და საპასუხისმგებლო, პრინციპულ მატჩებსაც იგი სჯიდა. მოგეხსენებათ, ასეთ შეხვედრებში ხშირია შეხლა-შემოხლა, საბოლოოდ კი ჯოხი „უვიც" მსაჯზე ტყდება. მიუხედავად იმისა, რომ რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს არც ერთი ასეთი შემთხვევა უყურადღებოდ არ დაუტოვებია, პრობლემა პრობლემად რჩება.

ამ აზრს იზიარებენ უმაღლესი ლიგის კლუბების მწვრთნელებიც. მათი თქმით, ჩემპიონატის და მსაჯობის დონე ძალიან დაეცა, რაგბის კავშირს კი არ ძალუძს პრობლემების მოგვარება და ჩემპიონატის დონის ამაღლება.

ახლა კი კლუბებზეც ვთქვათ.

## დათვები

აშკარად ჩაგდებული შარშანდელი სეზონის შემდეგ ბათუმის „დათვების" თავკაცობამ გუნდი გამოცდილ თბილისელ სპეციალისტს, ლევან მგელაძეს ჩააბარა. ახალი მწვრთნელი, თავის მხრივ, შემადგენლობის გადახალისებას შეუდგა: თავისი ყოფილი გუნდიდან, ასკ-დან რამდენიმე კარგი მორაგბე იახლა ზღვისპირეთში, მათ „დათვების" ძველი გვარდიაც შეუერთდა და შედეგმაც არ დააყოვნა. შესაშური სტარტის შემდეგ ბათუმელ მორაგბეებს ლიდერობა ბოლო ტურამდე არ გაუშვიათ ხელიდან. ბოლო ტურში ზღვისპირელები ქუთაისში „აიასთან" დამარცხდნენ და წინ „ლოკომოტივი" გაუშვეს, თუმც ეს დროის ამბავია, რადგან „დათვებს" გადადებული მატჩი აქვთ შინ სათამაშო ასკ-თან. მასპინძელთა გამარჯვებაში ეჭვი თვით არმიელებსაც არ ეპარებათ. ლევან მგელაძის შეგირდები ბზის თასის ერთ-ერთი ფავორიტები არიან, თუმცა მათ შანსები პლეი ოფში ერთობ შემცირდება. გუნდიდან წასვლას ეშურებიან „დათვების" ლიდერები — კახა მაჩიტიძე, დავით აშვეთია, ირაკლი სვანიძე, გიგა გურეშიძე და გოგა ხელაძე. მათ საფრანგეთში თამაში ამოუჭრიათ გულში და ამ მიზნის განხორციელებას შეეცდებიან.

## ლოკომოტივი

პრობლემების წინაშე დგას თბილისის „ლოკომოტივიც". თემურ ბენდიაშვილს, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა მოუწევს. წამყვან მორაგბეებს თვალი საფრანგეთისკენ უჭირავთ. მიუხედავად ამისა, მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი ბზის თასის უპირველეს კანდიდატად რჩება. მძიმე სტარტის შემდეგ „ლოკომოტივმა" მკვეთრად მოუმატა და წინ გაჭრილმა „დათვებმა" პირველი ეტაპის ფინიშის სწორზე რკინიგზელთა სუნთქვა იგრძნეს ზურგს უკან. თბილისელი რკინიგზელები არც ტემპის დაგდებას და არც ჩემპიონობის დათმობას აპირებენ. მათი ძირითადი უპირატესობა უკანა ხაზი იქნება. კვინიხიძე — ალანია — ანდღულაძე — ბუგიანიშვილის ოთხეულს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

## ყოჩები

თუ ვიცე-ჩემპიონებს ოთხეულში მოხვედრა გაუჭირდებოდათ, ამას ვერავინ იფიქრებდა. თაობათა ცვლამ თავისი გაიტანა და მრისხანე „ყოჩები" საშუალო დონის გუნდად გარდაიქმნა. თუმც არავის ეგონოს, „ყოჩებმა" ვინმეს უბრძოლველად დაუთმონ რაიმე. მორაგბეთა მიგრაციამ ვიცე-ჩემპიონებსაც დაატყო კვალი და ძლივს შეკოწიწებული გუნდი, ადგილი შესაძლებელია, ხუხულასავით დაინგრეს. ასეა თუ ისე, საჩემპიონო მარათონიდან „ყოჩების" ჩამოწერა ნაადრევია. ამირან თეზელაშვილის შეგირდებმა ხელი თუ გამოიღეს, იქნებ დიდ ფინალშიც გააღწიონ.

## აია

უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნებულმა ქუთათურებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ოთხეულშიც შეაღწიეს. „აია" განსაკუთრებით შინ ჩაგრავდა მეტოქეებს. ქუთაისიდან ორი ქულის წამოღება მხოლოდ ჩემპიონებმა შეძლეს. ერთი არის, ახალგაზრდულ „აიას" საფრანგეთიდან დროებით მობრუნებულმა თედო ზიბზიბაძემ და ბესიკ ხამაშურიძემ შეაშველეს ხელი. მათი გუნდიდან წასვლით კი „აია" საგრძნობლად დასუსტდა. სპეციალისტთა აზრით, ქუთათურთა ოთხეულში მოხვედრა მაქსიმუმი იყო, რისი გაკეთებაც დღეს შეეძლოთ.

## უნივერსიტეტი

ოთხეულისკენ ეჭირათ თვალი თბილისელ სტუდენტებსაც. საამისოდ ყველანაირი წინაპირობა ჰქონდათ გურამ მოდებაძის შეგირდებს, მაგრამ „უნივერსიტეტს" ქუთაისის „აიამ" გაუსწრო და გადამწყვეტ მატჩშიც მოუგო ქუთაისში. „უნივერსიტეტს" ახლა უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მოუწევს ოფლის ღვრა, თუმც არა მგონია, თბილისელ სტუდენტებს იმგვარად უჭირდეთ, რომ პირველ ლიგაში დაქვეითდნენ.

## ასკ

თუ დღეს ვინმეს უჭირს, ეს არმიული კლუბია. ბედის ანაბარა მიტოვებულმა არმიელებმა რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრეს პირველი ეტაპი. კლუბის თავკაცებს პირველობაზე სამონაწილეო თანხა ჯერაც არ შეუტანიათ რაგბის კავშირში. თუ საორგანიზაციო საკითხები დროულად არ გადაჭრეს ასკ-ის თავკაცებმა, არ არის გამორიცხული, კლუბი გათამაშებიდან მოხსნან.

**ბაჩო სვანიძე**

| II ეტაპი | |
|---|---|
| I ტური | 2 სექტემბერი |
| II ტური | 9 სექტემბერი |
| III ტური | 23 სექტემბერი |
| IV ტური | 30 სექტემბერი |
| V ტური | 21 ოქტომბერი |
| VI ტური | 28 ოქტომბერი |
| პლეი ოფი | 3 ნოემბერი |
| პლეი ოფის ნინასწარი ფინალი | 13 ნოემბერი |
| ჩემპიონატის ფინალი | 24 ნოემბერი |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ირაკლი გიორხელიძე (ყოჩები) | 118 |
| ირაკლი მოდებაძე (უნივერსიტეტი) | 118 |
| კახა მაჩიტიძე (დათვები) | 90 |
| ბობა კვინიხიძე (ლოკომოტივი) | 80 |
| **მელელოელები** | |
| გიორგი ბუგიანიშვილი (ლოკომოტივი) | 12 |
| ირაკლი მოდებაძე (უნივერსიტეტი) | 8 |
| კ. ელოშვილი (უნივერსიტეტი) | 7 |
| **გარდასახვა** | |
| ირაკლი გიორხელიძე (ყოჩები) | 26 |
| ბობა კვინიხიძე (ლოკომოტივი) | 23 |
| ირაკლი მოდებაძე (უნივერსიტეტი) | 15 |
| **საჯარიმო** | |
| კახა მაჩიტიძე (დათვები) | 16 |
| ირაკლი მოდებაძე (უნივერსიტეტი) | 14 |
| ირაკლი გიორხელიძე (ყოჩები) | 12 |
| **არეკნი** | |
| კახა მაჩიტიძე (დათვები) | 7 |
| ბობა კვინიხიძე (ლოკომოტივი) | 2 |
| ირაკლი მოდებაძე (უნივერსიტეტი) | 2 |
| ფრიდონ უდესიანი (ასკ) | 1 |
| ირაკლი გიორგაძე (აია) | 1 |

**სატურნირო ვითარება პირველი ეტაპის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 318:140 | 16 |
| დათვები | 9 | 7 | 0 | 2 | 249:125 | 14 |
| ყოჩები | 10 | 5 | 0 | 5 | 317:185 | 10 |
| აია | 10 | 5 | 0 | 5 | 147:164 | 10 |
| *უნივერსიტეტი* | *10* | *4* | *0* | *6* | *287:162* | *8* |
| *ასკ* | *9* | *0* | *0* | *9* | *36:572* | *-1* |

*დათვები — ასკ გადაიდო*

*ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

**სიმბოლური ნაკრები**

ირაკლი ნინიძე — დათვები
დავით ხინჩაგაშვილი — ლოკომოტივი
დავით აშვეთია — დათვები
გიორგი კახიანი — ლოკომოტივი
გიგა გურეშიძე — დათვები
დავით ცხვედიანი — ყოჩები
კახა უჩავა — დათვები
ბესიკ უდესიანი — ლოკომოტივი
ირაკლი გიორხელიძე — ყოჩები
კახა მაჩიტიძე — დათვები
კახა ალანია — ლოკომოტივი
ნონო ანდღულაძე — ლოკომოტივი
გოჩა ხონელიძე — დათვები
გიორგი ბუგიანიშვილი — ლოკომოტივი
ირაკლი მაჩხანელი — უნივერსიტეტი

*მწვრთნელი: თემურ ბენდიაშვილი (ლოკომოტივი)*



[illegible] ფოტო

# რაფტერი მუდმივი ვიცე ხდება

**მონრეალი. „მასტერსი“**
**ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $**

**მეოთხედფინალი:** **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია, 9) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 4) 7:5, 4:6, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — არნო კლემანი (საფრანგეთი, 10) 6:2, 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ენდი როდიკი (აშშ) 6:4, 6:7 (2:7), 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ბოდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:1

**ნახევარფინალი:** **რაფტერი** — სანტორო 6:2, 6:2; **პაველი** — ჰაასი 6:4; 5:0 (ტრავმა)

**ფინალი:** **პაველი** — რაფტერი 7:6 (7:3), 2:6, 6:3

პატრიკ რაფტერს კარგა ხანია აწუხებს სენი, რომელსაც უბრალო ენაზე უიღბლობა ჰქვია და ფსიქოლოგებსაც რაიმე ტერმინი ექნებათ მისი ახსნისთვის, მაგალითად, ასეთი: „პირველობის კომპლექსი“. მისგან მოგებული ტიტულები ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება, ფინალში კი 13 ტურნირში დამარცხებულა, რომელთაგან პირველ რიგში წლევანდელი უიმბლდონის დასახელება ეგების, რომელსაც რაფტერმა გიგანტთა გათელვის შემდგომ უწია (ნახევარფინალიდან ანდრე აგასი გააგდო), იქ კი რომელი განთესილი, „ოლ ინგლენდ კლაბში“ „უაილდ ქარდით“ მიწვეულმა გორან ივანიშევიჩმა დაამარცხა. ახლა შემედავებით, ის ხომ გორან ივანიშევიჩი იყოო და მართალი იქნებით, მაგრამ მაინც...

დაახლოებით იგივე საქმე დაემართა რაფტერს მონრეალის „მასტერსზე“, რომელიც „მასტერსის“ სერიაში რიგით მე-6 იყო. ეს სერია „დიდი სლემის“ შემდეგ მნიშვნელობით მეორეა და საპრიზო ფონდით ერთობ გამოირჩევა ATP და WTA ტურების რიგითი ტურნირებისგან. მონრეალში, მაგალითად, ჩოგბურთელთა გასამრჯელოდ თითქმის 3 მილიონი ამერიკული მწვანე დაიდო და იქიდან გამარჯვებულს 400 ათასი ერგებოდა, ამიტომ ჩოგბურთელთა მონდომებას საზღვარი არ ჰქონდა, ისინი თავდაუზოგავად თამაშობდნენ, შედეგად კი გერმანელმა ტომი ჰაასმა ტრავმა მიიღო და საქმე წაიხდინა.

მეოთხედფინალში ჰაასმა მე-10 ნომერ არნო კლემანს დამაჯერებლად 6:2, 6:4 მოუგო და ნახევარფინალიც რიგიანად დაიწყო რუმინელი ანდრეი პაველის წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლაში 4:6 წაგებული პირველი სეტის შემდეგ ჰაასმა მოძრაობა ფაქტობრივად შეწყვიტა, პაველმა მიყოლებით 5 გეიმი მოიგო და გერმანელმა ექიმს დაუძახა, მერე კი გაჭირვებით დატოვა კორტი. რუმინელი ფინალში გავიდა და ეს სენსაციასთან ახლოს იყო, რადგან იგი არ ეწერა განთესილებში, მეტიც, წელს უბრალო ტურნირიც არ მოუგია, ორჯერ ნახევარფინალს უწია. მოკლედ, ჩოგბურთელმა, ვისგანაც ცოტას ელოდნენ მერვედფინალში მაროკოელი ჰიშამ არაზი დაამარცხა, მერე ამერიკის ახალი ვარსკვლავი ენდი როდიკი და ჰაასზე უკვე გითხარით.

ამასობაში პატრიკ რაფტერმა მერვედფინალიდან მეგობარი ტოდ მარტინი გამოაგდო, მერე ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს ძნელად მოუგო და ნახევარფინალში ფრანგი ფაბრის სანტორო ადვილად მოახრჩო. რა სათქმელია, ფინალის ფავორიტი რაფტერი გახლდათ.

მონრეალში ცხელოდა. რაფტერმა ჩვეულებისამებრ ცხვირპირი გარუჯვის საწინააღმდეგო კრემით გაითხუპნა და კორტზე თავდაჯერებულად გავიდა, რადგან ეს „მასტერსი“ მისთვის უცხო როდია, 3 წლის წინ მოუგია, ოღონდ ტორონტოში (ტურნირს კანადის ორი ქალაქი ზიარად მართავს). პირველი სეტი სასტიკი ბრძოლით გამოირჩა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც რუმინელმა იმძლავრა.

რაფტერმა განგაშის სიგნალი მიიღო და მეორე სეტში უკიდურესად დაიქოქა. მისი დარტყმების სიმძლავრემ იმატა და რუმინელის უმწეობამაც, რაც 2:6 წაგებულ სეტში გამოიხატა, მესამეში კი რაფტერმა დაკარგა ორი მოწოდება და თავიც. პაველმა მატჩში სულ 7 ეისი მოაწოდა, მაგრამ მათგან ერთი ძალიან ძვირფასი იყო, მატჩპოინტზე, რის შემდეგაც პაველი მუხლებზე დაემხო და კორტი დაკოცნა. როგორც გაირკვა, ამან დიდად ასიამოვნა.

„საუცხოო გემო ჰქონდა — თქვა რუმინელმა მაზნებარდ — შოკოლადის თუ რაღაც ამგვარის, კარგი იყო“.

„სიზმარი ამიხდა — ეს პაველის უფრო სერიოზული გაგრძელება გახლავთ — ნერვები დაწყვეტაზე მქონდა და თავს სულ მუჯლუგუნებს ვურტყამდი, ბიჭო, წყნარად იყავი, ილიმე და ისიამოვნე-მეთქი. მწვერვალთ მწვერვალს ვუწიე“.

ეტყობა, რუმინელი ჯერჯერობით „დიდი სლემის“ ტურნირზე ფიქრს ვერ ბედავს.

რაფტერი ბუნებრივად გაწბილებული იყო, მაგრამ როცა ფინალისტისთვის განკუთვნილი თეფში უბოძეს, ხუმრობა სცადა. „დიდი ოჯახი მყავს და თეფშებზე მოთხოვნილებაც შესაბამისი — ჩამოსახრჩობის სახით იხუმრა რაფტერმა — ჩემებს წავუღებ, უეჭველად გამოადგებათ“.

გაჩერებას არ ვაპირებო, თქვა შემდეგ ავსტრალიელმა, ამერიკის ღია პირველობაზე ნავსის გატეხვას ვეცდებიო.



ვინუს უილიამსმა სეზონის მეოთხე ტიტული მიითვალა

**სან დიეგო (აშშ). „აკურა კლასიკი“.**
**ჰარდი. საპრიზო 750 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია, 1) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:4; **ვინუს უილიამსი** (აშშ, 2) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 6) 6:2, 6:2; **მონიკა სელეში** (აშშ, 5) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 3) 6:3, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 4) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, 12) 6:2, 5:7, 7:6 (7:5)

**ნახევარფინალი:** **სელეში** — ჰინგისი 6:3, 6:4; **უილიამსი** — დევენპორტი 6:2, 7:5

**ფინალი:** **უილიამსი** — სელეში 6:2, 6:3

დაძაბული იყო კალიფორნიაში დამთავრებული „აკურა კლასიკის“ მეოთხედფინალები. მონიკა სელეშმა გარეგნულად მყარად, 6:3, 6:3 მოუგო ჯენიფერ კაპრიატის, მაგრამ იყო ეპიზოდები, როცა ბევრს ნერვიულობდა. აი ერთ-ერთი:

მეორე სეტია, 3:3-ზე სელეშს ბრეიკ-პოინტი აქვს და ამ დროს ტრიბუნაზე მობილურმა დაიწკრიალა, ერთხელ, მეორედ...

„უპასუხე, რა!“ — მკვახედ მიმართა მონიკამ მობილურის პატრონს და როცა იმან უპასუხა, სელეშმაც უპასუხა კაპრიატის მოწოდებას ერთობ ეფექტურად და წინ გავიდა. მერე ექს-იუგოსლაველმა მოიგო 2 გეიმიც და უკვე ნახევარფინალში იყო, სადაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, მარტინა ჰინგისი ელოდა.

ნახევარფინალში გასასვლელად ჰინგისი ძლიერ არ დატანჯულა. ორივე სეტში შვეიცარიელი თავისი კოხტა დარტყმებით აწამებდა იაპონელ აი სუგიამას და მოერია. მოიგო ვინუს უილიამსმა, მისი ყუმბარები მძიმე ასატანი გამოდგა ნატალი ტოზიასთვის, ფრანგმა თითო სეტში არაუმეტეს ორი გეიმი მოიგო. მისჭირდა მხოლოდ ლინდსი დევენპორტს. იგი ჩვეულებრისამებრ დრედნოუტივით მძიმედ ვიდოდა კორტზე, იქით კი ფრანგი სანდრინ ტესტიუ დახტოდა კალიასავით და ცოტას გაწყდა, ლინდსი ტურნირს არ მოაშორა. პირველ სეტში დევენპორტის დარტყმებმა საქმე გააკეთეს, მაგრამ მეორეში ტესტიუმ მართლა გააუმჯობესა თამაშის ხარისხი და ტობრეიკიც არ ალირსა ამერიკელს, რაც გადამწყვეტ პარტიაში გახდა საჭირო. დევენპორტმა ჭეშმარიტად ბეწვზე მოიგო: 6:2, 5:7, 7:6 (7:5) და მეორე დღესვე გაირკვა, რომ ამ გამარჯვებით სან დიეგოში მისი მისია ამოწურულიყო. მოძრავმა და ჯანიანმა ვინუს უილიამსმა ცარიელა ჯანის წინააღმდეგ წარმატებით გაილაშქრა 6:2, 7:5 და უნდა აღინიშნოს: აწყვეტილი იელოველის წინააღმდეგ დევენპორტს შანსი არ ჰქონია.

ახლა კი კითხვა: რატომ დგას მარტინა ჰინგისი კლასიფიკაციის პირველ ადგილზე? გასაგებია, რომ ჩოგბურთში ქულათა დარიცხვის თავისი სისტემაა და შემდგენელებს ამ საქმეში ვერ ჩავერევით, მაგრამ გარეგნულად ხომ მარტო იმას ვხედავთ, რომ ჰინგისს დღეს უფრო ჩაგრავენ, ვიდრე ჩაგრავს. არვარგოდა მისი თამაში „დიდი სლემის“ არცერთ ტურნირზე, უიმბლდონს სულაც პირველ წრეში დაეთხოვა, არადა 201-ე კვირა იწურება, პირველი ადგილიდან ვერავინ დაძრა. რეიტინგების 26 წლიან ისტორიაში ეს მეოთხე შედეგია.

და ამ ჰინგისმა „აკურა კლასიკის“ ნახევარფინალი მონიკა სელეშთან პირწმინდად წააგო, ხოლო სელეშზე კიდევ მოგახსენებთ, რომ ეს ტურნირი წლეულს მისთვის მხოლოდ მეორე იყო — ფეხი აწუხებდა ძალიან, მაგრამ სელეშმა დანით მიყენებული ჭრილობა დაძლია და ტრავმა როგორ გაყრიდა ჩოგანთან?

თუმც ფინალში უილიამსის მოსარევად მისი ვეება ენთუზიაზმიც ცოტა გამოდგა.

მაყურებელთა სიმპათიები სელეშის მხარეს იყო. უილიამსს მიჩვეულად ოჯახური კლანი ქომაგობდა: მამა რიჩარდი, რომელსაც ხანდახან შეშლილის საქციელი აქვს და სამი და, სერენას ჩათვლით. იქვე იქნებოდნენ უილიამსების ოთხფეხა მეგობრები, ანუ ძაღლები, მაგრამ ამაზე ინფორმაცია არა გვაქვს და გადაჭრით ვერ ვიტყვით.

მატჩი თავიდან ბოლომდე ვინუსის დომინირებით ჩატარდა. შედეგი არ მოჰყოლია სელეშის უპირატესობას პირველ მოწოდებებში (59 პროცენტი 54-ის წინააღმდეგ), რადგან ვინუსმა თავის პირველ მოწოდებათა 88 პროცენტი მოიგო და ამით საქმე სანახევროდ მოაგვარა. პირველ გეიმში სელეშის ერთადერთი შანსი სამი ბრეიკ პოინტი გახლდათ, როცა ამ საფრთხეს დაუძვრა, უილიამსი შეუჩერებელი გახდა. საბოლოოდ 6:2, 6:3 და ვინუსმა სეზონში მეოთხე ტიტული აიღო. სტატისტიკა მის შესახებ გვაუწყებს, რომ წელს მან მოიგო „ერიქსონ ოუფენი“, სადაც ფინალში კაპრიატი დაამარცხა, მერე „ბეტი ბერკლი კაპი“ და რაც მთავარია, წლის ტურნირი უიმბლდონის კორტებზე; დაუგროვდა 30 გამარჯვება და 5 მარცხი, ამათგან შთამბეჭდავია მისი შედეგები ჰარდსა (16-2) და ბალახზე (7-0). ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამერიკის ღია პირველობაზე „შავი ვენერა“ ყველას თავსატკივარი იქნება.

„ახლა მთავარია, პირველი მოწოდება დავხვეწო — ამბობს ვინუსი — სხვაფრივ არა მიშავს, კარგად ვთამაშობ.“ ამას სელეშიც არ უარყოფს, მისი მომგები დღეს არ ვიყავიო.

„ვერავითარი იარაღი ვერ გამომადგა — თქვა სელეშმა — შემოვლებულების დიდი იმედი მქონდა, მაგრამ იმსიგრძე მკლავები აქვს... რამდენიმე ისეთ ბურთს მიუსწრო, კინაღამ გავგიჟდი. მაგრამ არა უშავს, ჩემთვის ახლა ფინალიც დიდი საქმეა. საამერიკოდ ტაქტიკას გავაუმჯობესებ და მოწოდების სიჩქარეს გავზრდი, მერე ვნახოთ...“

ვნახოთ...

**ბაზელი. „პრეკონ ოუფენ“**
**თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** **კრისტინა ტორეს ვალერო** (ესპანეთი, 6) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:4, 7:5; **მარი გაიანე** მიქაელიანი (შვეიცარია) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი, 7) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:3, 6:1; **ადრიანა გერსი** (ჩეხეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:2, 6:3

**ნახევარფინალი:** **გერსი** — ტორეს ვალერო 4:6, 7:6 (7:0), 7:5; **მიქაელიანი** — სმაშნოვა 6:2, 6:2

**ფინალი:** **გერსი** — მიქაელიანი 6:4, 6:1

**დავით გულუა**





პატრიკ რაფტერს (მარცხენა ფოტოზე) ანდრეი პაველთან წაგება ეწყინა და გაუკვირდა




REUTERS კოუზიდან

# კარგი ცხოვრება

ბრიტანეთის სამხრეთით, კუნძულ უაიტთან ცხოვრება კარგად მიდის: ზღვა, იახტები და ასე შემდეგ. „კაუზის რეგატაში" მრავალი კოხტა იალქნოსანია ჩაბმული და ყველაზე ახლოს რომ ხედავთ ხალხით დატვირთულს, „სერანო" ჰქვია, შკიპერს კი რობერტ კონდონი. ზურგქარი ვუსურვოთ.

# კაპიტანი

სტივ ვო გმირულად ხელმძღვანელობდა ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრებს, რომელიც ინგლისში ტესტებზე ჩავიდა და გაიმარჯვა კიდეც. ეგ არის, კაპიტანი დაშავებულა და ამას ძალიან ნუ გაიკვირვებთ, ტრავმები კრიკეტშიც მოსულა.




REUTERS ნოტინჰემიდან

# ქალური ზეიმი

გრძნობათა სიმრავლით აღინიშნა პლაჟის ფრენბურთის ქალთა ფინალი კლაგენფურტში, სადაც ნამდვილი პლაჟის [illegible] გამორიცხული საქმეა, როგორც ზოგადად ავსტრიის ალპებში. სამაგიეროდ, გრილოდა, გოგოები მაქსიმალური მონდომებით დატანტალებდნენ ქვიშაზე და ორს დაუფასდა: ადრიანა ბეჰარი (მარჯვნივ) და ბელდა ბედე მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობენ.



REUTERS კლაგენფურტიდან

# სამეფო ოჯახი მალიორკასთან

აგვისტოს 4-ში ესპანეთის სამეფო ოჯახმა თავის აღმოსავლეთ სამფლობელოს, ბალეარის კუნძულებს მიაშურა, სადაც წლის ამ დროს რეგატა „კოპა დელ რეი" იმართება ხოლმე ფრიადი არისტოკრატიის თანდასწრებითა და უაღრესი დაძაბულობით. უავგუსტესთა სიძე, ხელბურთელი ინაკი ურდანგარინი თავის შვილთან, პრინც ხუან ვალენტინთან ღლაბუცისას გამოუჭერია ფოტოგრაფს და დროებით ფოტოგრაფად ქცეულა ესპანეთის დედოფალი სოფიაც — ალბათ შვილიშვილს იღებს.



REUTERS მალიორკიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჟუჟუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge